# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 2011 წელი.

№26 (6637)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ამან ესა თქვა იმაზე, იმან ისა თქვა ამაზეო...

ანუ, როგორც ჩანს, ქრონიკელ ზედელაშვილს, გელასა (იგულისხმეთ გლახა ჭრიაშვილი), საქმე გამოლევია და აჭიაბაჭიობა ჟურნალისტიკა ჰგონია

ცუდაკაცისა და მახათისა არ იყოს...





9

## კონტროლის პალატამ სახელმწიფოს შეუტია!.. 3

სადაზღვევო აურზაური – შიდასახელისუფლო ნოკაუტი

## თავიანთ შეცდომებს ბოლომდე მხოლოდ ბიჭები იცავენ





7

## სააკაშვილის აპოლოგეტები დემოკრატიის ჩაშლისთვის მეტს აკეთებენ, ვიდრე რუსეთს ოცნება შეეძლო 8

## რუსეთი – სასარგებლო მტერი? 3



## „ხალხს ზნეობა რომ მოეშლება, იმას რა გადაარჩენს?“ 6

## ბიუჯეტის „საყვარელი შვილები“ და „კონკიები“ 6

## ექსტრავაგანტური მისია ავღანეთში 2





## რას უფრთხილდებიან თვალისჩინივით „კახურ ტრადიციულ მეღვინეობაში?“ 5

◎ სიმართლის პირისპირ

# ექსტრავაგანტური მისია ავღანეთში

**საქართველოს პრეზიდენტი ავღანელი ხალხისთვის მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფას ცდილობს — საქართველო იქ უახლოეს თვეებში დამატებით ძალებს გააგზავნის.**

**მიუნხენის უსაფრთხოების 47-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილს დამსწრეებისთვის არც იმის შეხსენება დავიწყებია, რომ საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ 700 ათასია და ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი — ოკუპირებული. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს აქვს პრეტენზია, „იყოს უსაფრთხოების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ მიმწოდებელიც".**

**მიხეილ სააკაშვილს ავღანელი კოლეგისთვის პოლიციის რეფორმირებაში დახმარების პირობაც მიუცია.**

„ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ავღანელმა ხალხმა მდგრად მშვიდობას მიაღწიოს და ქვეყანა ტერორისტების თავშესაფრად აღარ იქცეს. საქართველო, რომლის მოსახლეობაც 4 მილიონ 700 ათასია და, რომლის ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია, პრივილეგიად მიიჩნევს, რომ ჩვენ არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებლები, არამედ მიმწოდებლებიც ვიყოთ", — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და განაგრძო - ჰამიდ კარზაის დავპირდი, რომ საქართველო ავღანეთს დაეხმარება პოლიციის რეფორმირებაში, ასევე, ავღანურ ძალებს არტილერისტთა მომზადებასა და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში...

რა რაოდენობის დამატებითი სამხედრო კონტინგენტი გაიგზავნება ავღანეთში, ჯერ უცნობია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ დეტალებზე დღეს საუბარი ნაადრევად მიიჩნია.

ვიდოზო მისიებში შეტანილი მაღალი წილით წარმოაჩენს.

„კონტინგენტის გაზრდაც არ ნიშნავს სამხედროების გაორმაგებას ან გაათმაგებას. საუბარია სპეციალისტების დამატებით გაგზავნაზე, დახმარებაზე ავღანეთის პოლიციისა და შეიარაღებული ძალების რეფორმაში და ა.შ. არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი კონტინგენტი გაორმაგდება ან ბრიგადის შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი ავღანეთში. გარდა ამისა, ეს არის დამატებითი გამოცდილება ოფიცრებისთვის, იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამ კონტინგენტის შემადგენლობაში მისიას გაივლიან", — მიიჩნევს თავდგირიძე.

ავღანეთში დამატებითი კონტინგენტის გაგზავნას საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან ვერ აკავშირებს ირაკლი სესიაშვილი. სამხედრო ექსპერტის აზრით, ასე ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა სუსტდება.

„ავღანეთის მისიაში უნდა



„აქ საუბარია არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო, ეკონომიკურ და სხვა სახის თანამშრომლობაზე, ძალისხმევის გაძლიერებასა და ჩვენი ჩართულობის გააქტიურებაზე. ინიციატივა უმაღლესი ხელისუფალის მიერ არის გაჟღერებული, ხოლო დეტალები შემდგომი დამუშავების თემაა და კონკრეტული პასუხის გაცემა ამ ეტაპზე შეუძლებელია", — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

უფრო კონკრეტულები არიან შეფასებებში სამხედრო ექსპერტები. მათი ნაწილი ავღანეთში სამშვიდობო მისიის გაზრდის ინიციატივაში ქვეყნის, ნაწილი კი პრეზიდენტის პირად ინტერესებს ხედავს.

გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ შეიარაღებული ძალები დამატებით გამოცდილებას, საქართველო კი — უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს იძენს. მისივე აზრით, საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველო თავს ყველაზე მეტად სამშვიდობო-

ვმონაწილეობდეთ, მაგრამ არა იმ რაოდენობით და მასშტაბებით, როგორც ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ წარმოდგენილი ვართ. ეს არ შეესაბამება საქართველოს პოლიტიკას და იმ საფრთხეებს, რომლებიც რუსეთისგან მომდინარეობს. ამ ვითარებაში, როდესაც ჩვენ ვაგზავნით საკმაოდ დიდი რაოდენობის ძალებს და უნდა აღინიშნოს, საუკეთესო ძალებს ავღანეთში, ცხადია, ვასუსტებთ ჩვენს უსაფრთხოების სისტემას. ჩვენმა პრეზიდენტმა საზოგადოების პოზიციის გაუთვალისწინებლად მიუნხენის კონფერენციაზე თქვა ის, რაც არაადეკვატურია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან", — განაცხადა სესიაშვილმა.

მისივე თქმით, დროა, დაისვას კითხვა, რისთვის ვმონაწილეობთ ავღანეთის მისიაში და რა შედეგს მოუტანს ეს საქართველოს.

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

## რა თანხა გადამალა, ან შეჭამა ლტოლვილთა სამინისტრომ?



**ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმიანობის შესასწავლად პარლამენტში სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვს.**

აღნიშნული ინიციატივით ბაღათურია გუშინ, საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე გამოვიდა.

— ლტოლვილთა სამინისტროში ფინანსურ დარღვევებზე კონტროლის პალატის მიერ გაკეთებული ანალიზის თანახმად 4 მილიონამდე ლარის ინვენტარიზაციის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ასევე არ არსებობს არანაირი საბუთი ნახევარი მილიონი ლარი დევნილებისთვის შეშის შეძენაში მართლაც დაიხარჯა თუ არა. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ფული სამინისტროში შეჭმულია, — აღნიშნა „ქართული დასის" ლიდერმა.

მისივე თქმით, დევნილებზე ერთჯერადი დახმარების სახით სამინისტროს ნახევარი მილიონი ლარი აქვს გაცემული, მაგრამ დღემდე არ არსებობს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც დახმარების გაცემა ხდება.

## ვინ გადაყარა სანაგვეზე გმირთა სურათები?

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისგან ომში დაღუპული ჯარისკაცების ფოტოების ნაგავში გადაყრის ფაქტის გამოძიებას ითხოვს.**

ამის შესახებ დეპუტატმა გუშინ, საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

— ვეტერანები თავდაპირველად გმირთა მოედანზე მემორიალთან იმ ბიჭების ხსოვნის დასაცავად გამოვიდნენ, რომლებმაც საქართველოს სიცოცხლე შეწირეს და თავდაცვის სამინისტროში გამოკრული მათი ფოტოები ნაგვის ურნაში იპოვეს, — აღნიშნა დავითაიამ.

მისივე თქმით, არავის არ უნდა ეგონოს, რომ ომი დამთავრდა, მაშინ როცა რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სტრატეგიული შეიარაღება და ტაქტიკური რაკეტები შემოაქვს.

— ეს ბიჭები მზად არიან თავი შეწირონ სამშობლოს და იმას მაინც უნდა ვაკეთებდეთ, რომ მათი სურათები, ვინც საქართველოს ერთიანობისთვის და თავისუფლებისთვის თავი შეწირა, იმ ნაწილებში დავკიდოთ, სადაც ეს გმირები მსახურობდნენ, — აღნიშნა დავითაიამ.

## სკანდალური ინფორმაცია ქუმარიტაშვილის დაღუპვის გამო

**ავსტრალიურმა ტელეკომპანია CBC-მ ქართველი მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების მიზეზებზე ახალი დეტალები გამოაქვეყნა.**

**ტელეკომპანიის ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ სკანდალური მიმოწერა ვანკუვერის ოლიმპიური შტაბის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს შორის, სადაც დაფიქსირებულია, რომ საციგაო ტრასა გაუმართავი იყო.**



CBC-ს ეთერში განაცხადეს, რომ ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექციამ არაერთი კრიტიკული შენიშვნა მიიღო.

ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ჯონ ფურნეგი შეშფოთებული იყო იმ სიჩქარით, რომელსაც სპორტსმენები საციგაო ტრასაზე ავითარებდნენ. ტელეკომპანიის თქმით, როგორც ჩანს ორგანიზატორებმა ყველა გაფრთხილება უყურადღებოდ დატოვეს.

ავსტრალიის ტელევიზიაში გასული მასალებით ქართული მხარეც დაინტერესდა.

ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალებიდან 12 თებერვალს ერთი წელი სრულდება.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

◎ მოგებული დავა

# მიტროფანე ლაღიძის მემკვიდრეობა, ლიმონათი, გურამ აბსანძე და სხვები

**— შარშან, ივნისში გამართულ პრესკონფერენციაზე გაცნობეთ, რომ სმოლენსკის საქალაქო სასამართლოში ფირმა „ლაღიძის წყლების" კომპანია „ბოროდინო 2006" მიმართ შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყო, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ ლაღიძის ფალსიფიცირებული ესენციებით დამზადებული ლიმონათის გამოშვებას ეხებოდა, — განაცხადა გაზეთ „პრაიმტაიმის" პრეს-კლუბში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე კომპანია „ლაღიძის წყლების" მთავარმა ტექნოლოგმა ნანა ჩახაიამ. — საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ კომპანია „ბოროდინო 2006" მფლობელია ჩვენი „ძვირფასი" პოლიტიკოსი, ყველასათვის კარგად ცნობილი გურამ აბსანძე.**

ქალბატონ ჩახაიას თქმით, „ლაღიძის წყლების" სარჩელის განხილვა სმოლენსკის სასამართლომ 2009 წელს დაიწყო და ის წელიწადნახევარს გაგრძელდა. პროცესზე გურამ აბსანძემ განაცხადა, რომ მასთან ვინმე რამაზ ლაღიძე მივიდა, რომელმაც თავი მიტროფანე ლაღიძის მემკვიდრედ გააცნო და, შესაბამისად, ლაღიძის წყლების წარმოების სრული უფლება ჰქონდა. ვიდრე „ლაღიძის წყლები" სასამართლოში სარჩელს შეიტანდა, ქალბატონ ნანა ჩახაიას პირადად დაურეკავს გურამ აბსანძისთვის, საქმის ვითარება აუხსნია, კერძოდ ის, რომ მიტროფანე ლაღიძის მემკვიდრეა არა რამაზ ლაღიძე, არამედ თორნიკე ლაღიძე, ბატონ მიტროფანეს შვილიშვილი, „ლაღიძის წყლების" პრეზიდენტი. ეს ამბავი ბატონ აბსანძეს დიდად შეუცხადებია, მაგრამ, მიუხედავად დაპირებისა, წყლების გამოშვება მაინც არ შეუჩერებია.

— ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად ძალიან დიდი მუშაობის ჩატარება მომიხდა საქართველოს სახელმწიფო არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომლის თანამშრომლებს საჯაროდ უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო აღმოჩენილი დახმარებისთვის, — თქვა ქალბატონმა ჩახაიამ. — ამის მიზანი სათანადო ისტორიული ცნობების მოპოვება იყო. შემდეგი ეტაპი შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება გახლდათ, რაც მოსკოვსა და



სანკტ-პეტერბურგში ცალ-ცალკე გაკეთდა. **ექსპერტიზის დასკვნით, „ბოროდინო 2006" ლაღიძის წყლების გამოშვების უფლება არა აქვს,** ეს ფირმა „ლაღიძის წყლების" პრეროგატივაა. არადა, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საავტორო უფლებები ჯერ კიდევ 2006 წელს რამაზ ლაღიძეს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დაუმტკიცა, ჩვენ საყვედურზე კი გვიპასუხეს, თუ მართლები ხართ, სასამართლოს მიმართეთო. არადა, ხელთ გვაქვს ფიროსმანივით თვითნასწავლი მხატვრის ზაზიაშვილის მიერ შესრულებული ლაღიძის წყლების პირველი ეტიკეტის, ბოთლის ესკიზები.

ქალბატონ ჩახაიას განცხადებით, სმოლენსკის სასამართლოს გადაწყვეტილება ტულაში გაასაჩივრეს, მაგრამ იქაურმა სასამართლომაც პირველადი დადგენილება ძალაში დატოვა. მართალია, გურამ აბსანძე ამის მიუხედავადაც აგრძელებდა ლაღიძის წყლების მარკის ფალსიფიცირებული ლიმონათის გამოშვებას, რადგან, როგორც ჩანს, საკუთარი დაუსჯელობის იმედი ჰქონდა — მას ხომ რუსეთში უზარმაზარი არყის ბიზნესი და, შესაბამისად, გავლენაც აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქმეში სასამართლოს აღმასრულებლო სამსახური ჩაერთო, მან უკან დაიხია და წარმოება გააჩერა.

„ლაღიძის წყლების" მთავარი ტექნოლოგის თქმით, ფირმას სარჩელის მოგებაში დიდი დახმარება გაუწია სანკტ-პეტერბურგის მახლობლად ქალაქ ტიხვინის ლიმონათის ქარხანამ, რომლის დირექტორია მალხაზ ძიმისტარაშვილი. სხვათა შორის, აბსანძეს შეიძლება ტიხვინის ქარხანამაც უჩივლოს. ქალბატონმა ნანა ჩახაიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთადერთი პროდუქცია, რაც სადღეისოდ საქართველოდან რუსეთში გადის, ესაა „ლაღიძის წყლების" ნატურალური სიროფები.

**დალი ხუნდაძე**

## კონტროლის პალატამ სახელმწიფოს შეუტია?

# სადაზღვევო აურზაური — შიდასახელისუფლო ნოკაუტი



სადაზღვევო კომპანიებზე კონტროლის პალატის სკანდალური დასკვნის მოსმენისას, კომპანიების „მოღვაწეობაზე“ გაბრაზების შემდეგ, პოლიტიკური კითხვაც გაჩნდა — რა ხდება ხელისუფლებაში. ფაქტია, რომ ხელისუფლების მიერვე შექმნილ სქემას ისევ ხელისუფლებამ დაარტყა, ოღონდ არა დანაშაულის აღიარებით. სამწუხაროა, მაგრამ არავის სჯერა, რომ კონტროლის პალატამ ასეთი მასალების გამოქვეყნების გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო — ელიტური კორუფციის პირობებში, როგორც წესი, ასეთი რამ არ ხდება. თან, კონტროლის პალატის სკანდალურ დასკვნას წინ უძღოდა პრეზიდენტის სასხვათაშორისოდ ნასროლი საყვედური სადაზღვევო კომპანიების მოგების მაღალ მარჟაზე. მოკლედ, მოსახლეობის კეთილდღეობის სახელით დამადლებულმა ფულის კეთებამ თვითკრახი განიცადა.

ოპოზიციას კი, ხელისუფლების სინდისის ქენჯნის არ სჯერა. „ამ ყველაფრით, იუსტიციის მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაარტყა“, — ირწმუნებიან ოპოზიციაში და თითქოს გული გწყდება, რომ ვიდრე ვიღაცა ვიღაცას არ დაარტყამს და არ „გაუჩალიჩებს“, მანამ ხელისუფლებას ვერაფერს გამორჩები.

ხელისუფლებას უაზროდ გადაყრილი ფული დაენანა თუ შიდასახელისუფლო კლანებს შორის დაპირისპირება დაიწყო, ეს მთელი ამ პროცესის დასასრულისას გამოჩნდება. პროცესი რომ „გზაშია“ და „უხმაუროდ და მშვიდად“ არ ჩაივლის, ამაზე ისევ საუბრობენ საპარლამენტო ოპოზიციაში და ირწმუნებიან, რომ სადაზღვევო კომპანიებში ფინანსური პოლიცია მუშაობს და უახლოეს დღეებში, ტელევიზიებით არაერთი „პირის“ აღიარებით ჩვენებებსაც მოვისმენთ; ვიღაცებს დაიჭერენ კიდეც, მერე ვიღაცა ვიღაცას თითს დაუქნევს და ერი ისევ ბედნიერი იქნება — მათი მისაღები სიკეთის გამფლანგველები დაისჯნენ. თუმცა, მართლა დამნაშავე დაისჯა თუ უბრალოდ „ვიღაცები შეეწირნენ“, ამის მოკითხვას აზრი აღარ ექნება — ამასობაში არჩევნები მოვა და...

არჩევნები რომ სადაზღვევო კომპანიების სკანდალთან პირდაპირ კავშირშია, ამას ისევ ოპოზიციაში ირწმუნებიან და ამბობენ, რომ ხელისუფლებამ შეგნებულად შექმნა ჩაკეტილი სივრცე — აფთიაქი, სადაზღვევო კომპანია, საავადმყოფო. დააფინანსა ეს ჩაკეტილი სივრცე და ფეშქაშად, უკან ისევ თანხა მიიღო, ოღონდ თანხა „ჯიბეში“ ბრუნდებოდა და არა — ბიუჯეტში.

„ამ ყველაფრით კი, ადეიშვილის მიერ მერაბიშვილის და მისი ე.წ. კლანის დაფინანსების ყველაზე მძლავრი წყარო “იკეტება“, — ისევ ირწმუნებიან ოპოზიციაში.

მერაბიშვილ-ადეიშვილის დაპირისპირების კვალი ოპოზიციამ ამ მთელ ბატალიებში მარტივად დაინახა. კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ლევან ბეჟაშვილი ზურაბ ადეიშვილის კაციაო, მის გარეშე და დაუკითხავად არაფერს გააკეთებს და მეტიც, ამ ორ უკანასკნელს საქმის კურსში პრეზიდენტიც კი ჩაუყენებია. სადაზღვევო კომპანიებს კი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი კურირებსო. ირაკლი გიორგობიანი კი ვანო მერაბიშვილის კადრიაო (ირაკლი გიორგობიანი პარიზში ირაკლი ოქრუაშვილისა და დათა ახალაიას სკანდალის ერთ-ერთი მომსწრე-მოწმეაძ.

ამ სკანდალში შესაძლოა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი და თსუ-ის ამჟამინდელი რექტორი სანდრო კვიტაშვილიც აღმოჩნდეს. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ სანდრო კვიტაშვილი ხელისუფლებაში მას შემდეგ აითვალწუნეს, რაც გასული წლის დასაწყისში სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული ტენდერი ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩაშალა და ამით სადაზღვევო კომპანიებში დამატებით დაახლოებით 30 მილიონის გადარიცხვის მცდელობა „აღკვეთა“. კვიტაშვილის ბედი კი, როგორც ჩანს, შიდასახელისუფლო ნოკაუტის შედეგზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ციფრებს, კონტროლის პალატის მონაცემებით, 2008-2010 წლებში კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ 10 961 514 ლარი პრემია მოიზიდა, საიდანაც მოგების მარჟამ 58,98% შეადგინა. ამავე პერიოდში „ალდაგი ბისიაის“ მიერ მოზიდული პრემია 29 733 947 ლარით, ხოლო მოგების მარჟა 65,48%-ით განისაზღვრა. „ჯი პი აი ჰოლდინგის“ — მოზიდული პრემია 60 056 756 ლარით, ხოლო მოგების მარჟა 57,38%-ით. ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამიდან „აი სი ჯგუფმა“ 34 721 138 ლარის პრემია მოიზიდა, ხოლო კომპანიის მოგების მარჟა 77 32%-ით განისაზღვრა. კომპანია „იმედი ელ“-მა აღნიშნული პროგრამიდან 2008-2010 წლებში 66 658 874 ლარი მოიზიდა და მოგების მარჟა 55,79%-ით განისაზღვრა. 2008-2010 წლებში კოპანია „ირაოს“ (რომლის წილის 51%-ს, ოპოზიციის ინფორმაციით, პრეზიდენტის ძმა უნდა ფლობდეს) მიერ მოზიდული პრემიის მოცულობა 40 134 478 ლარით განისაზღვრა, ხოლო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევიდან მიღებული მოგების მარჟამ 51,07% შეადგინა. აღნიშნული პროგრამიდან ყველაზე ნაკლები მოგების მარჟა — 27,16%, კომპანია „ქართუმ“ მიიღო, ხოლო მოზიდული პრემიის მოცულობამ 3 303 621 ლარი შეადგინა.

სადაზღვევო კომპანიებმა 284 მილიონი ლარიდან მოსახლეობის მომსახურებაზე მხოლოდ 40% დახარჯეს. კომპანიების მოგების მარჟამ გადააჭარბა 60%-ს, მაშინ, როდესაც კერძო დაზღვევაში მოგების მარჟა 4%-ია.

„2008-2010 წლებში უმწეოთა პროგრამით დაზღვეულ 808 000 მოქალაქეს დაუფინანსდა მხოლოდ 171 000 შემთხვევა, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამით ისარგებლა დაზღვეულთა მხოლოდ 21%-მა. სახელმწიფოს, სამედიცინო პერსონალისა და პროგრამით მოსარგებლეთა ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე, სადაზღვევო კომპანიებმა მიიღეს 170 მილიონი ლარის შემოსავალი“, — აცხადებს კონტროლის პალატა და თან საკმაოდ სკანდალურად, რადგან შეეძლო ეს ყველაფერი „რბილად“ ეთქვა.

სწორედ ამ სიმკვახის გამო, არავის სჯერა, რომ კონტროლის პალატა მთლიანად ხელისუფლებას დაუპირისპირდა.

საპარლამენტო ოპოზიციაში სადაზღვევო კომპანიების სკანდალის დასასრულს ვერ პროგნოზირებენ, თუმცა ამბობენ, რომ ერთი მხრივ ხელისუფლება დამატებით 300 მილიონის კიდევ ერთხელ უმიზნოდ გახარჯვას იცილებს თავიდან და მეორე მხრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ „პარტიულ სალაროს“ საფრთხეს უქმნის.

„ნაციონალური მოძრაობის“ „პარტიული სალაროსთვის“ საფრთხის შექმნა კი ისევ „ნაციონალური ერთიანი გუნდიდან“, დამაბნეველია. მოკლედ, წინასაარჩევნო ბატალიები დაიწყო და ასეთი შიდასახელისუფლო ნოკაუტები, მორიგ არჩევნებამდე, არაერთხელ იქნება.

**დარეჯან პაატაშვილი.**
„ინტერპრესნიუსი“

## ვინ როგორ ხედავს?

# რუსეთი — სასარგებლო მტერი?

### კარლ თომსონი დასავლეთს „საქართველოს ავტორიტარული ხელისუფლების უპირობო მხარდაჭერის შეწყვეტისკენ“ მოუწოდებს

**ბრიტანელი „კონსერვატორი“ კარლ თომსონი საქართველოს ხელისუფლებას ავტორიტარიზმში ადანაშაულებს და დასავლეთს „მისი უპირობო მხარდაჭერის შეწყვეტისკენ“ მოუწოდებს.**

**„Conservativehome“-მა კარლ თომსონის სტატია „სააკაშვილის აპოლოგეტები საქართველოში დემოკრატიას იმაზე მეტ ზიანს აყენებენ, ვიდრე რუსეთი ინატრებდა“ გამოაქვეყნა.**

სტატიაში ნათქვამია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებზე 96-პროცენტიანი გამარჯვება ხელისუფლების უზურპაციისთვის გამოიყენა და საკუთარი განზრახვები ინტერვიუშიც დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რომ „ქვეყნის პარლამენტში ოპოზიციური დეპუტატების ყოფნაში ვერანაირ აზრს ვერ ხედავს“.

ამასთან, ავტორი არ აკონკრეტებს, რომელ ინტერვიუზეა საუბარი.

მისივე თქმით, „სააკაშვილი ამავდროულად საქართველოს დასავლეთთან დაახლოების პირობას დებს და ევროკავშირსა და ნატოში ქვეყნის გაწევრებას ცდილობს, ამდენად საერთაშორისო ექსპერტები ავისმომასწავებელ პროგნოზებს თავს არიდებენ“.

„2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმის, როგორც რეგიონში რუსეთის გავლენის საპირწონედ წარმოჩენა მოდური გახდა. მაშინ ისეთმა წინადადებამაც კი გაიჟღერა, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში წევრობის კანდიდატებისთვის არსებული მოთხოვნების გარეშე მიეღოთ და რუსეთთან საბრძოლველად კავკასიაში ბრიტანული არმია გაეგზავნათ. იმ დროს, როდესაც ისედაც ორ ომში ვართ ჩაბმული, ამ წინადადების მასშტაბს და მის შედეგს ბრიტანული არმიისთვის არავინ ითვალისწინებდა. შემდეგ კი ევროკავშირმა და ეუთომ გამოძიება ჩაატარეს, რომლის შედეგად კონფლიქტის დაწყებასა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ცეცხლის გახსნაში საქართველო დაადანაშაულეს. თუმცა 2008 წლის კონფლიქტში საქართველოს ცალსახა მორალურმა მხარდაჭერამ, ასევე სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის შუქურისადმი ხშირმა ქება-დიდებამ მისი რეჟიმი გაათამამა და მან გადაწყვიტა, რომ შეუძლია, დაუსჯელად იმოქმედოს. 2008 წლის არჩევნებზე სააკაშვილის კონკურენტი ხუთი საპრეზიდენტო კანდიდატიდან ორი უცხოეთში გაიქცა, ერთი კი საეჭვო გარემოებებში გარდაიცვალა“, — წერს თომსონი და რომელ გაქცეულ კანდიდატებზე საუბრობს, არ აკონკრეტებს.



მისივე ინფორმაციით, საქართველო მსოფლიოში უცხოეთის ყველაზე მასშტაბური დახმარების მიმღები ერთ-ერთი ქვეყანაა და მისი ეკონომიკის 5 პროცენტი უცხოური დახმარებებისგან შედგება.

„საქართველოს დასავლელმა მხარდამჭერებმა ქართველი ხალხისადმი მხარდაჭერისა და სააკაშვილისადმი უპირობო მხარდაჭერის გათანაბრებას თავი უნდა დაანებონ და ამის ნაცვლად ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მონაცემები გაითვალისწინონ. ახლახანს ამ ორგანიზაციამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ინდექსში საქართველოს 120-ე ადგილი მიუჩინა. მათ ასევე ყური უნდა დაუგდონ Freedom House-ის განცხადებას, რომელმაც 2009 წელს აღნიშნა, რომ საქართველო დღეს ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“. მათ არ აწყენდათ ასევე საგარეო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის პოზიციის გათვალისწინება, რომელიც დასავლურ ინსტიტუტებს ურჩევს, თავიანთი მხარდაჭერა თბილისისადმი ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს დაუკავშირონ“, — ნათქვამია სტატიაში.

ანალიტიკოსის აზრით, „სააკაშვილს მართლაც შეუძლია მთელი რიგი წარმატებული რეფორმებით დაიკვეხნოს, მათ შორის — აგონიაში მყოფი ქართული ეკონომიკის რეფორმირებით, თუმცა ამავდროულად საქართველოში ადამიანის უფლებებს სულ უფრო ხშირად არღვევენ, თავისუფალ სიტყვას ახშობენ, კანონის ნორმები სახელმწიფო ხელისუფლების სულ უფრო მზარდ თვითნებობას ეწირება“.

მისივე თქმით, „ხელისუფლება ხშირად ადანაშაულებს ოპოზიციას, რომ ის მოსკოვის მხარდაჭერით მის დამხობას ცდილობს, შესაბამისად, რუსეთი სააკაშვილისთვის სასარგებლო მტრად გადაიქცა, რომელზეც მას საკუთარი ხალხის ყურადღება გადააქვს და ავიწყებს იმას, რომ თავად რეფორმატორის მორალური ავტორიტეტი და რეპუტაცია დაკარგა“.

ამასთან, სტატიის ავტორი აცხადებს, რომ „მათ, ვინც რუსეთს „სუვერენული ქართული ტერიტორიის ოკუპაციისთვის“ ადანაშაულებს, უნდა ახსნან, რატომ შედის ბრიტანეთის ნაციონალურ ინტერესებში ის, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს საკუთარი ბედის თავად განკარგვის უფლება წაართვან“.

თომსონის აზრით, „აბსოლუტურად არარეალურია მოლოდინი, რომ ეს პროვინციები საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნდება, რომლის ყოფილმა პრეზიდენტმა მათ უწოდა „ნაგავი, რომელიც გვირაბიდან უნდა გაიტანო“, ასევე მოითხოვა ამ პრობლემურ ეთნიკურ უმცირესობათა „დაფშვნა და ქართული ერიდან მათი ამოწვა გავარვარებული ლითონით“.

რომელ პრეზიდენტზეა საუბარი, აქაც გაუგებარია.

ცნობისთვის, კარლ თომსონი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტია, რომელიც რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე წერს. 2005 წლის ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში იგი „კონსერვატიული პარტიის“ დეპუტატობის კანდიდატი იყო აღმოსავლეთ გლაზგოს ოლქიდან.

**პირველი**

◉ სიმართლის პირისპირ

# ექსტრავაგანტური მისია ავღანეთში

(მეორე გვერდიდან)

**„თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, პრეზიდენტი მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მთელი შეიარაღებული ძალები გადავისროლოთ ავღანეთში. ამავე კონფერენციაზე პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ავღანეთის პრობლემა ჩვენს ქვეყანასთან პირდაპირ კავშირშია, რაც არარეალური და არაადეკვატურია. თუ ეს რეგიონის უსაფრთხოებიდან გამომდინარე კეთდება, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც იმაზე მეტი უნდა ჰყავდეთ გაგზავნილი ავღანეთში, ვიდრე ჩვენ გვყავს, რადგან ერთ რეგიონში ვიმყოფებით. საქართველოს პრეზიდენტი**



**ამას პირადი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს, რათა დასავლეთში უკეთესი იმიჯი მოიპოვოს“,** — აღნიშნა სესიაშვილმა.

საქართველოს ავღანეთში პროცენტულად ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე ნატოს რომელიმე წევრ სახელმწიფოს, — აცხადებს რადიო „თავისუფლების“ სამხედრო მიმომხილველი კობა ლიკლიკაძე.

მისი თქმით, ზოგიერთი ქვეყანა ავღანეთში მისიას ასრულებს, ნაწილი კი პირიქით, კონტინგენტს ზრდის.

ლიკლიკაძე ამბობს, რომ ავღანეთიდან ჯარი უკვე გაიყვანა ჰოლანდიამ, თუმცა იტალიისა და ჩეხეთის მთავრობებმა კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღეს.

**„მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია ნატოს წევრ ქვეყნებზე. რაც შეეხება საქართველოს წვლილს, ძალიან დიდია და, თუ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობიდან გამოვალთ, საქართველოს, ფაქტობრივად, პროცენტულად ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე — ნატოს რომელიმე წევრ დიდ სახელმწიფოს, მათ შორის — აშშ-ს, კანადას, გერმანიას თუ თურქეთს“,** — განაცხადა ლიკლიკაძემ.

სამხედრო მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალების რაოდენობაც საქართველოსაზე გაცილებით დიდია.

**„არითმეტიკული გამოთვლის მიხედვით, თუ ჩვენ გვყავს ჩვენი შეიარაღებული ძალების 1 პროცენტი გაგზავნილი ავღანეთში, შეიძლება, მათ ჰყავდეთ 0,5 პროცენტი. ასეთი თანაფარდობა საქართველოსთვის, რომელიც ამავე დროს არის ოკუპირებული ქვეყანა და რუსეთის განმეორებითი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას, რბილად რომ ვთქვათ, ექსტრავაგანტული გადაწყვეტილებაა“,** — აღნიშნა ლიკლიკაძემ.

მისივე ვარაუდით, ამ შემთხვევაში საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ინსტრუქტორების და არა საბრძოლო ბრიგადების გაგზავნაზე, რადგან ქართული სამშვიდობო ბატალიონები ავღანეთში ისედაც საკმარისზე მეტად წარმოდგენილი არიან. თუმცა, როგორც აცხადებენ, სიურპრიზებიც ვერ გამოირიცხება.

სამშვიდობო მისიებში საქართველოს შეიარაღებული ძალები 1999 წლიდან აქტიურად მონაწილეობს (ბალკანეთი, სპარსეთის ყურე, ავღანეთი).

კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული (34 სამხედრო მოსამსახურე) 1999 წლიდან, ქალაქ მამუშაში განლაგებული თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მონაწილეობდა. 2003 წლიდან კი, ერთი ქართული ასეული (150 სამხედრო მოსამსახურე) ქალაქ პრიზრენში, გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში იმყოფებოდა. 2008 წლის მარტში ქართულმა სამშვიდობო კონტინგენტმა ბალკანეთი მთლიანად დატოვა.

ერაყში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, ქალაქ ტიკრიტში სამედიცინო ჯგუფი (70 სამხედრო სამედიცინო პერსონალი) და საინჟინრო ოცეული პირველად 2003 წელს გაემგზავრნენ. კოალიციური ჯარების შემადგენლობაში 2004 წელს მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 300 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 2005 წლიდან სამშვიდობო მისიის შესრულება 850 ჯარისკაცმა განაგრძო.

ორი წლის შემდეგ, 2007 წლის ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით ერაყში სამშვიდობო მისიით ქალაქ ალ კუტში (ვასიტის პროვინციაში) მესამე ქვეითი ბრიგადის 2 000 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა.

ერაყის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად I ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობა დისლოცირებული იყო ბაზა „დელტაზე“ (ვასიტის პროვინციაში) 1 500 ჯარისკაცით, ბაზა „ქლეარზე“ — 350 და ქალაქ ბაღდადში — 150 სამხედრო მოსამსახურით. როტაციის წესის შესაბამისად I ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები სამშობლოში 2008 წლის ბოლოს დაბრუნდნენ.

ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ISAF-ის სამხედრო ოპერაციაში საქართველო ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. პირველად, ISAF-ის ოპერაციაში 50-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მონაწილეობა 2004 წელს მიიღო, სადაც მათი ამოცანა ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. 2009 წლის 6 აგვისტოს კი პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ დადგენილება მიიღო. 2009 წლის შემოდგომაზე ავღანეთში ქვეითთა ერთი ასეული გაემგზავრა, 2010 წელს კი — ბატალიონი. აქედან საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ასეული საფრანგეთის კონტინგენტის დაქვემდებარებაში განთავსდა, ერთი ბატალიონი — ამერიკის შეერთებული შტატების კონტინგენტში, ხოლო ორი სამხედრო მოსამსახურე — თურქეთის კონტინგენტში.

2009 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ასეული (172 სამხედრო მოსამსახურე და კაპელანი-მართლმადიდებელი მღვდელი მამა იოსები) ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა.

ქართული სამშვიდობო ასეული, ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქალაქ ქაბულში, რეგიონალური სარდლობის შტაბბინაში მდებარე „ვორჰაუზის“ ბაზაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მისიას ასრულებს.

2010 წლის აპრილიდან, ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის 750 სამხედრო პირი გაიგზავნა, რომელიც აშშ-ის სამხედრო ძალების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებს. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ხუთი ქართველი სამხედრო დაკარგა.

**ნინო წივწივაძე**

◉ ინფორმაცია

## დაიწყება ელექტროენერგიის ვაუჩერების გაცემა

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის თქმით, ელექტროენერგიის ვაუჩერების გაცემა 10 თებერვლიდან დაიწყება.**

**— 20-ლარიანი ვაუჩერების გაცემა 10 თებერვლიდან დაიწყება. ეს არის მთავრობის მოკრძალებული თანადგომა და ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩვენს ოჯახებს მცირეოდენით მაინც შეუმსუბუქებს ინფლაციურ პროცესს, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე.**

**ვაუჩერების გაცემის გადაწყვეტილება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან შეხვედრისას იქნა მიღებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ აღიარება

# გამოვლინდნენ ახალი ლაურეატები

**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დავით აღმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები გამოაცხადეს.**

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ნანა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს შემაჯამებელი პრესკონფერენცია საგანგებოდ დაამთხვიეს.

„ეს კონკურსი უკვე მეორე წელია ტარდება საქართველოში. ჩვენ ახლა დავასრულეთ წლევანდელი პროექტი. შარშან ჩვენი სასიქადულო მწერლები, პუბლიცისტები, პოეტები გახდნენ ლაურეატები: ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ ამაშუკელი, ნოდარ წულეისკირი.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს კონკურსი საკმაოდ საინტერესო გამოდგა ჩვენი საზოგადოებისთვის და ორჯერ მეტი ნაწარმოები შემოვიდა. იმის მიუხედავად, რომ შარშან საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი აგორდა ამ პრემიის გამო, მან თავი მაინც დაიმკვიდრა — 100-ზე მეტი ნაწარმოები შემოვიდა, აქედან 70 გადაეცა სარეცენზიოდ და შემდგომ მათგან 17 საუკეთესო ნაწარმოები შეირჩა“, — აღნიშნა ნანა ჯაფარიძემ.

**დავით აღმაშენებელი – 2011**

მისი თქმით, საკონკურსო თანხა 100 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც სხვადასხვა ნომინაციაზე განაწილდა.

**დავით აღმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ:**

**მანანა ჩიტიშვილს,** — პოეტური კრებულებისათვის „მაინც საქართველო ერქვა“ და „ასი ლექსი“; **ალექსანდრე ქურდაძეს,** — სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომისთვის „ღვინის და ვაზის საგალობელი“; **ნუგზარ ანთელავას,** — მონოგრაფიისთვის „აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები“; **ანზორ თოთაძეს,** — სამეცნიერო ნაშრომისთვის „საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე“ და „ქართველი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორია და მომავალი“; **რეზო (ემელიანე) ადამიას,** — წიგნისთვის „სისხლიანი ცრემლი“ და ტერენტი გრანელის გრაფიკული ნამუშევრების მოძიებისა და აღდგენისთვის.

ამ ხუთ გამარჯვებულს 10-10 ათასი ლარი გადაეცათ, ხოლო დანარჩენ ქვემოთ დასახელებულ ლაურეატებს — 5 ათასი.

**დავით აღმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსის ნომინაციებში გაიმარჯვეს და კონკურსის ლაურეატის სახელი მიენიჭათ:**

**ვაჟა შუბითიძეს,** კრებულისთვის „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი“ (ნომინაცია „სამაგიდო წიგნი“), **შოთა ზოიძეს,** პუბლიცისტური ნაშრომისთვის „საქართველოს გოლგოთა“ (ნომინაცია „ერის მოამაგენი“), **სოსო სიგუას,** პუბლიცისტური ტრილოგიისთვის „მარტვილი და ალამდარი“ (ნომინაცია „მწერალი და ისტორია“), **ევგენი ბლიაძეს,** ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევისთვის „ერეკლე მეორე“ (ნომინაცია „ქართველ მეფეთა ცხოვრება და ღვაწლი“), **ბორის**



„დავით აღმაშენებელი“ სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია

**დარჩიას,** ბიბლიოგრაფიული კვლევისთვის „იაკობ შემოქმედელი“ (ნომინაცია „ლიტერატურული ისტორია“); **ალეკო ასლანიშვილს** — დოკუმენტურ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომისთვის „დაკარგული საფლავები“ (ნომინაცია „გაცოცხლებული სახეები“); **ლევან დოლიძეს,** წიგნისათვის „გენერლები საქართველოდან“ (ნომინაცია „მხატვრული დიდების ისტორია“); **გრიგოლ ლიპარტელიანს,** დოკუმენტურ-პუბლიცისტური ნაშრომებისთვის „გრიგოლ ლიპარტელიანის სამყარო“ და „ქართველები პეტერბურგში“ (ნომინაცია „საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ“).

**პრემია ნომინაციისთვის „ყრმობის ასაკში საკითხავი“** მიენიჭა ორ ნომინანტს — **ლიანა ბარათაშვილს,** წიგნისთვის „საქართველოში იბადებოდნენ“; **ნუნუ ძამუკაშვილს,** წიგნად გამოცემული სალექციო კურსისთვის „დავით მეოთხე აღმაშენებელი“.

**ჟურნალისტური პრემია „თანამოკალმე“** მიენიჭა — **თეიმურაზ ქორიძეს,** ჟურნალისტური პუბლიკაციებისა და წიგნისთვის „საუბრები ჟურნალისტიკაზე“.

**საკონკურსო კომისიის სპეციალური პრიზი** მიენიჭა **მიხეილ ტყებუჩავას,** კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, პოეტური კრებულისთვის „წამის ათასწლეული“.

პრესკონფერენციის დროს პეტერბურგიდან ჩაერთო სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებლის“ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი ქველმოქმედი **ალექსანდრე ებრალიძე.**

იგი მიესალმა კონკურსის ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ კონკურსი გაგრძელდება და მისი მასშტაბი გაფართოვდება.

**„ჩემი მთავარი მიზანია საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რომ ჩამოვიდე საქართველოში და ყველა ის პრაქტიკული შესაძლებლობა, რომელიც მაქვს — ფიზიკური, მატერიალური, ინტელექტუალური ჩვენს სამშობლოს — ჩვენს ერს, კულტურას მოვახმარო“,** — დასძინა მან.

კომისიის წევრმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **ბაღათერ არაბულმა** მადლობა გადაუხადა ბატონ ალექსანდრე ებრალიძეს, რომელიც „დიდ საქმეს აკეთებს“. ეს თანხა კეთილი საქმისთვის არის გაღებული და ქართულ მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას მოხმარდებაო.

დაბოლოს, ქალბატონმა ნანა ჯაფარიძემ აღნიშნა — **რაც უნდა შეეცადონ ამ პრემიისთვის ჩირქის მოცხებას, იგი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ქართველებისთვის, საქართველოს განმტკიცებისა და გაერთიანებისთვის.**

* * *

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულითადად ულოცავენ კონკურსის ყველა გამარჯვებულს ამ აღიარება-დაფასებას და ახალ წარმატებებს უსურვებს მათ.

**ნატა ნიბლაძე**

# რას უფრთხილდებიან თვალისჩინივით „კახურ ტრადიციულ მეღვინეობაში?“

ვიდრე უხუცესთა საბჭოს პირველი სხდომა დაიწყება, კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ გენერალური დირექტორი ზურაბ ჩხაიძე თავმომწონედ გამართულ, ყოველმხრივ სრულყოფილ საწარმოს გვათვალიერებინებს.

დავდივართ ყურძნისა და ღვინის სურნელით გაჟღენთილ საამქროებში და... დადებითი ემოციებით დამუხტულები ვუსმენთ ახალგაზრდა ბიზნესმენს, საქმისა და სიტყვის კაცს, სიახლეების მოყვარულს და ქართული ტრადიციების ქომაგს.

მე კი, მისი გულწრფელი ნაუბრიდან გამომდინარე, ჩემთვის ვფიქრობ:

ღვთისმშობლის წილხვედრი იმიტომაც ხომ არ არის ღვინისა და ვაზის სამშობლო საქართველო, რომ იესო ქრისტეს შვიდი სასწაულიდან პირველი, სწორედ წყლის ღვინოდ გადაქცევა იყო?.. მკითხველს შევახსენებ, რომ წმინდა მიწაზე, გალილეის პატარა ქალაქ კანაში, როცა სიმონ კანანელის ქორწილში ღვინო გამოილია, მაცხოვარმა იქვე სპეციალურ ქვის სარწყულებში „მდგომარე“ წყალი ღვინოდ გარდაქმნა და ქორწილში მყოფი მარიამ ღვთისმშობელიც კი გააოცა.

რა თქმა უნდა, ქართული ღვინო უფრო ძველია, ვიდრე ეს ფაქტი, მაგრამ ქართველი კაცი დღესაც რომ უფლის სასმელს, წითელ ღვინოს კი უფლის სისხლად მოიხსენიებს, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს.

ღვინო ჩვენი ისტორიული სიწმინდეა.

ღვინო ქართველი კაცის რწმენა და სინდის-ნამუსია.

ღვინო ჩვენი მატერიალური და სულიერი სიმდიდრეა.

**„ხილთა ქება ბევრი თქმულა და ჩვენამდე დაწერილა, მაგრამ საქართველოს მიწა რადგან საზვრედ გაჩენილა, პირველ ყოვლის ყურძენს ვაქებ, იმას ვენაცვალე ძირში, უნდა ვაქო ქართული ვაზის ყველა, ოთხასივე ჯიში“...** — ეს მურმან ლებანიძეა.

**„ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“** — ეს ტიციან ტაბიძეა.

შვილივით ნაზარდი ვაზი რომ არა, ღვინო რომ არა, ალბათ ველარ გადავარჩენდით ამ ლამაზ სამშობლოს, ვერ შევქმნიდით უნიკალურ ხალხურ სიმღერებს, ქრისტიანულ საგალობლებს, პოეზიას, მუსიკას, ქორეოგრაფიას.

ქართველი ხალხი, დღიდან არსებობისა, ღვინოს ქმნის, ღვინო — ერის სრულყოფილ სახეს, დადებითსაც და უარყოფითსაც... თუმცაღა, უარყოფითზე დღეს ნუღარ ვილაპარაკებთ, რადგანაც ღვინის მსმელ ყოველ ქვეყანაში, ამ საღვთო სასმელის „გამფუჭებლებიც“ (ღვინო რომ არ დაელევინებათ!) — მრავლად არიან.

* * *

— ეს უზარმაზარი ცისტერნები თუ ყველა ნატურალური ღვინომასალით გაქვთ სავსე, თქვენ სერიოზული სიმაღლეებისთვის მიგიღწევიათ, — დაინტერესდა უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო წევრი, ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი.**

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბატონი დავითის გარდა, კომპანიის გენერალური დირექტორის და მისი ერთგული მეგობრების რჩევით შექმნილ უხუცესთა საბჭოში შედიან ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატორი, პროფესორი **თამაზ ტყემალაძე** (საბჭოს თავმჯდომარე); ქართველ ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, მეცნიერი და მწერალი, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე,** — ეს მისი თავაზიანი ნებართვით ჩამოასხა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კოლექტივმა მშვენიერი ცქრიალა და შუშხუნა ღვინო „გალაკტიონი“ (თეთრი, წითელი და ვარდისფერი), რომელმაც უკვე მოიპოვა მომხმარებლის აღიარება; ცნობილი ბიზანტიოლოგი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე **ვალერი ასათიანი;** ისტორიკოს-ეთნოგრაფი, მრავალი პოპულარული წიგნის ავტორი, პროფესორი **ელდარ ნადირაძე;** ახალციხის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ცნობილი ფილოლოგი და მწერალი **მერაბ ბერიძე;** ცნობილი მეღვინე-ტექნოლოგი, ქართულ ღვინოსა და მევენახეობაზე სამაგიდო წიგნების ავტორი **ბონდო კალანდაძე,** ბიზნესმენები — **მიშა ლოლაძე, ვაჟა ქუთათელაძე, ილია ფერაძე,** ცნობილი მომღერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი **გივი ჭიჭინაძე...**



ზურაბ ჩხაიძე

აკადემიკოს დ.მუსხელიშვილის შეკითხვას კომპანიის ხელმძღვანელმა სრული სერიოზულობით უპასუხა: ჩემი ღრმა რწმენით, ფალსიფიცირებული ღვინის, კონიაკის თუ არყის ეპოქა სამუდამოდ დასრულდა. მსოფლიო ბაზარზე დღეს ისეთი კონკურენციაა, თითოეულ ბრენდს იმდენი შემმოწმებელი ჰყავს, სიყალბეს ვერავინ გაბედავს. ჩვენი კომპანია დღეს უკრაინაში, ბელარუსში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, თვით ევროპის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოში — დიდ ბრიტანეთშიც კი ყიდის პროდუქციას. უხარისხობას არავინ გვაპატიებს... საბედნიეროდ, ქართულ ღვინოზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. ჩვენს კონიაკსაც კი, რომელსაც „ძველი კახეთი“ ჰქვია, უკრაინაში იმპორტირებული მსგავსი სახეობის პროდუქციის ბაზრის 90 პროცენტი უჭირავს... წელიწადში მინიმუმ 1500 ტონა ყურძენს ვამუშავებთ და, როგორც იტყვიან, ყველა მტევანი შერჩეულია. ამიტომაც კომპანიის ღვინოები, კონიაკი და არაყი (ქართული ჭაჭა) — თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ასპროცენტიანია.

**— ბატონო ზურაბ, უხუცესთა საბჭოს რჩევებს რა სარგებლის მოტანა შეუძლია თქვენი კომპანიისთვის?** — დავინტერესდით მე და ჩემი კოლეგა, ცნობილი ღვინოლოგი და „სპირტისოსტატი“ ვილენ მარდალეიშვილი.

— სერიოზულ საწარმოებს ჩვენს სფეროში ბევრგან ჰყავთ მსგავსი მრჩეველთა, ანუ უხუცესთა საბჭოები. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ დიდი იმედი მაქვს ამ ღვაწლმოსილი, გამოცდილი და ქართული ტრადიციების მცოდნე ადამიანებისა. ამიერიდან, ერთად მოვიფიქრებთ ახალი ბრენდების სახელწოდებებს, ქართული პროდუქციის სახელისა და ღირსების დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, დღეს ასე საჭირო პიარ-აქციებს, დავგეგმავთ პრაქტიკულ სადეგუსტაციო საღამოებს... ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, ქველმოქმედებასაც ვეწევით. აბა, უხუცესთა საბჭოზე უკეთ ვინ იცის, ვის უნდა დავეხმაროთ, ვისი ჭირი და ლხინი გავიზიაროთ. ახლახან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შევქმენით თამარ მეფის ფონდი. საზოგადოებამ უკვე მიიღო 2011 წლის ფერადი კალენდარი — ალბომი „თამარ მეფე“, რომელიც აღსავსეა ამ დიდი წმინდანისადმი მიძღვნილი უნიკალური პოეტური შედევრებით, ფრესკებითა და ქართველ მხატვართა შემოქმედებით. მალე გამოვა თამარისადმი მიძღვნილი ისტორიული, სამეცნიერო და პოპულარული ნაწარმოებების სოლიდური კრებული... ჩაფიქრებული გვაქვს სხვა კონკრეტული ღონისძიებებიც... უხუცესთა საბჭომ ჩვენს წარმოებას, აქ მომუშავე ყველა თანამშრომელს, ცხოვრება და შრომა უნდა გაულამაზოს... „უხუცესებს“ დიდი მამულიშვილური საქმეების გაკეთება მოუწევთ...



ზურაბ ჩხაიძე უხუცესთა საბჭოს დეგუსტატორებთან ერთად

**— ბატონო ზურაბ, როგორ გგონიათ, რუსულ ბაზარზე დაბრუნდებით?**

— ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თუმცაღა გასაღების ბაზრები სხვა ქვეყნებში ვიპოვეთ, რუსეთის უზარმაზარი ბაზარი მაინც სხვა არის. თვით რუსებსაც ძალიან ენატრებათ ჩვენი ღვინო... ამასწინათ ალკოჰოლური ბიზნესის საერთაშორისო ჟურნალმა „რუსსკაია ვოდკამ“ მშვენიერი სტატია მიუძღვნა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ საქმიანობას, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოში ცუდ ღვინოს არ აკეთებენ და ის ფაქტი, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო და კონიაკი არ არის, ზუსტად უპატარძლო ქორწილს და უმარილო სუფრას ჰგავს...

**— თქვენი კომპანია ცნობილი, 17 წლის ისტორიის მქონე ბრენდის „ასკანელი ძმების“ შვილეული (სხვათა შორის, ზოგიერთი დღემდე შეცდომით ამბობს — შვილობილიო), კომპანიაა. რასა იქმს „ასკანელი ძმები“, ხომ ერთად სწევთ ცხოვრების ჭაპანს?**

— რა თქმა უნდა, „ასკანელი ძმების“ მთავარ პრინციპს — მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია! — არ ვღალატობთ. ამიტომაც, გულწრფელად ვიმეორებ, ჩვენს ნაწარმს მომხმარებელი არ აკლია. ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ერთი სიტყვით, ღვინის ხარისხს და ქართველი კაცის სინდის-ნამუსს თვალისჩინივით ვუფრთხილდებით.

* * *

თითქოს ფერხულს ცეკვავენო, კონვეიერზე მწყობრად მოდის „წინანდლის“, „ალაზნის ველის“, „ქინძმარაულის“, „საფერავის“, „ხვანჭკარის“, „ცოლიკაურის“, „ტვიშის, „მანავის“ და სხვა დასახელების ღვინით სავსე ბოთლები; სამფეროვან „გალაკტიონზე“ უკვე მოგახსენეთ... ამას დაუმატეთ პოპულარული კონიაკები — „ძველი კახეთი“ და შედარებით ახალი „ერეკლე მეორე“... ყველა მათგანი ხვალ და ზეგ მსოფლიოს ათასობით მოქალაქეს განწყობას აუმაღლებს, სიცოცხლის რწმენას შეჰმატებს, მუხთალ წუთისოფელს გაულამაზებს!

წლეულს, აგვისტოში, „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას“ 10 წელი უსრულდება. დარწმუნებული ვარ გონიერი ასკანელი ძმები ჩხაიძეები (თვით ზურაბ ჩხაიძის ოჯახში სამი ბიჭი იზრდება!) და მათი შთამომავლები ოც, ოცდაათ, ორმოცდაათ, ას წლისთავსაც გამთლიანებულ, აღორძინებულ საქართველოსთან ერთად იზეიმებენ!

ამ ზეიმის შემოქმედნი სხვადასხვა თაობის უხუცესთა საბჭოს წევრებიც იქნებიან...

**სპარტაკ ქობულია**



სამახსოვრო კადრი უხუცესთა საბჭოს პირველი სხდომის შემდეგ

**P. S. რაღაც განსაკუთრებული მინდოდა მეთქვა გურიის ულამაზეს სოფელ ასკანაში ძმები ჩხაიძეების მიერ აშენებულ მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარზე, „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მიერ დაარსებულ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ყოველწლიურ (ტრადიციულ) ფესტივალზე — „ქართული სული“, მაგრამ... ჯერ ასკანაში ტაძრის მოსალოცად საგანგებოდ უნდა ჩავიდე და იქიდან მობრუნებული, თბილისში, „ქართული სულის“ უზადო ფესტივალის წლევანდელ კონცერტებს დავესწრო...**

**მოთმინებასა და სიმშვიდეს გისურვებთ, ძვირფასო მკითხველო!**

## „ძველი“ ინფორმაცია თემაში

**„ასკანელი ძმების“ ისტორია გურიაში, სოფელ ასკანაში დაიწყო. ითვლება, რომ თავისი სახელწოდება ასკანამ, ბახუსის შთამომავლის, ენეასის ვაჟის, ასკანიუსისგან მიიღო. ასკანაში დღემდეა შემორჩენილი მარანი, რომელიც კომპანიის მფლობელთა წინაპარმა ანთიმოზ ჩხაიძემ დააარსა. ყველაზე ძველ ქვევრზე 1880 წელია ამოტვიფრული, სწორედ ამ თარიღიდან იწყება დროის ათვლა. ანთიმოზ ჩხაიძის მიერ დამზადებული ღვინოები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ყველაზე მეტად თეთრი მშრალი ღვინოები „ჩხავერი“ და „ცოლიკაური“ ფასობდნენ.**

რა დღეშიც ვართ

# ბიუჯეტის „საყვარელი შვილები“ და „კონკიები“

**თუ ოფიციალურ მონაცემებს ვენდობით, შარშანდელი წლის მიწურულს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ რაკი ამავე პერიოდში ინფლაციამ 11 პროცენტს გადააჭარბა, გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა, ფაქტობრივად, არა აქვს, რადგან ასეთი ზრდის ძირითადი წყაროა არა ეკონომიკური აქტივობა, არამედ ინფლაცია.**

სამწუხარო რეალობაა, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არასწორი და, ხშირად, სრულიად გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით (რასაც, თუნდაც, ეკონომიკის მინისტრების გაუთავებელი ცვლა მოწმობსძ, საქართველოში ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესებულია: ოთხი მეხუთედით შემცირდა უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება, იმპორტი ოთხჯერ და მეტჯერ ჭარბობს ექსპორტს, ხოლო ამ უკანასკნელის რამდენადმე მნიშვნელოვან მდგენელებზე, მაგალითად, უცხოური მანქანებისა (?ძ და ჯართის გატანაზე (!ძლაპარაკიც სამარცხვინოა, თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად საგარეო ვალიც ლამის დღითი დღე იზრდება, რასაც მისი გასტუმრების დაწყების ვადების მოახლოება კიდევ ახალი ვალების აღებას აიძულებს ხელისუფლებას.

**ამასთან, უმუშევრობის დონით სამხრეთ კავკასიაში პირველ ადგილზე ვიმყოფებით, დაახლოებით 1,8 მილიონი ჩვენი თანამემამულე სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო კიდევ ნახევარი მილიონი კაცი უკიდურეს გაჭირვებაშია! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ქვეყანაში 800 ათას პენსიონერს მარტო ევროპის კი არა, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დაბალი პენსია აქვს, იძულებით ადგილნაცვალ პირებს კი კინწისკვრით ყრიან ისეთ ადგილებში, სადაც დასაქმების თეორიული შანსიც არ არსებობს, თანაც 20 თუ 22-ლარიან შემწეობაზე „აწუწუნებენ“ კიდეც!**

მოსახლეობა ყოველ ახალ საფინანსო წელს გარკვეული იმედებით, ვითარების სასიკეთოდ შეცვლის მოლოდინით ხვდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი წლეულსაც მარტო ნატვრის დონეზე დარჩება. **ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი წლეულს ქვეყნის დაახლოებით 7-მილიარდიანი ბიუჯეტის სეკვესტრს წინასწარმეტყველებს, რადგან სპეციალისტები ეჭვობენ, რომ საშემოსავლო ნაწილში დამატებული ღირებულების, ასევე თავად საშემოსავლო გადასახადის ოდენობა დაგეგმილივით მნიშვნელოვნად გაიზარდოს,** რისთვისაც, უწინარესად, ეკონომიკური წინსვლის მაღალი ტემპია საჭირო და არა განსაზღვრული 4,5 პროცენტი, რომელიც, თავისთავად, როგორც ციფრი, ცუდი არ არის, მაგრამ საქმე ხომ ის არის, თუ რისი 4,5 პროცენტია ეს მაჩვენებელი? ამბობენ იმასაც, რომ შარშანდელთან შედარებით წლეულს ბიუჯეტში „გაბერილი“ ციფრებია: ეჭვს გამოთქვამენ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადით ბიუჯეტში შარშანდელზე 14 პროცენტით მეტი თანხა შევა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი 18 პროცენტით გაიზრდება. ასახელებენ ბიუჯეტის მოსალოდნელ სეკვესტრის ვადასაც, რასაც ზაფხულის დადგომამდე წინასწარმეტყველებენ.

2011 წლის ბიუჯეტის აშკარად „არაადამიანური სახე“ იქიდან ჩანს, რომ **დახურულია მრავალი სოციალური პროგრამა (მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების დაფინანსება), არ არის გათვალისწინებული ისედაც მათხოვრული პენსიების თუნდაც ერთლარიანი ზრდა, ძველებურად არ დაფინანსდება 5-დან 60 წლამდე მოსახლეობის გარანტირებული სამედიცინო მომსახურება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ონკოლოგიურ, გულისა და ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა.**

**მოკლედ, სოციალური და ჯანდაცვის სფეროები ბიუჯეტისთვის „კონკიები“ არიან, ხოლო „საყვარელი საკუთარი შვილები“ – ბიუროკრატიული აპარატის შენახვა, ასევე „სხვადასხვა ხარჯი“ და, რაც ყველაზე „უსაყვარლესია“ – პრეზიდენტისა და მთავრობის სრულიად უკონტროლო ე.წ. „სარეზერვო ფონდები“.**

თუ იმის შესახებ ვიმსჯელებთ, რა არის 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა



წლების ბიუჯეტებისგან ყველაზე მეტად განმასხვავებელი ნიშანი, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ **საშემოსავლო ნაწილში ძალიან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ადმინისტრაციული ჯარიმებისგან მისაღები შემოსავლის ოდენობა.** ამრიგად, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მთავრობა აქცენტს არა ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ფისკალურ პოლიტიკის საგრძნობ გამკაცრებაზე ამყარებს და ამით, როგორც ჩანს, **„ორ კურდღელს“ ერთად იჭერს: ერთი, რომ ბიუჯეტს ავსებს, მეორე ის, რომ ამ გზით მოსახლეობიდან ჭარბ ფულს იღებს, ინფლაციის მაღალი დონის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს,** რაც თავის დროზე ეროვნული ბანკის არცთუ მართებული მონეტარული პოლიტიკის შედეგია.

ფაქტები იმას მოწმობს, რომ **სადღეისოდ ქართული ბიზნესის ნახევარზე მეტი ნაწილი ფისკალურ ორგანოთა უმძლავრესი ზეწოლის ქვეშაა, რაც, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა დაკანონებული სახელმწიფო რეკეტი.** შედეგად მრავალი საწარმო დროებით ჩერდება, ზოგის მეპატრონე კი „თავის ატკივებას“, სულაც მნიშვნელოვან სარისკო საფრთხეს, წარმოების დახურვას ამჯობინებს. განსაკუთრებით მტკივნეულად კი ეს საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებზე აისახება.

ამ პირობებში ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ნაირნაირი საურავებისა და საპროცესო გარიგებების მეშვეობით ბიუჯეტის შევსება ეკონომიკის განვითარებაზე უაღრესად ნეგატიურად აისახება, რადგან ბიზნესმენებს არა თუ წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის, არამედ ელემენტარულად წარმოებისთვის აუცილებლად საჭირო საბრუნავი სახსრები აღარ რჩებათ, რითაც საწარმოო ობიექტების ნორმალური ფუნქციონირება უნდა უზრუნველყონ. ამას, თავის მხრივ, სამუშაო ადგილების გაუქმება, ისედაც სავალალო სოციალური ფონის კიდევ უფრო მეტად დამძიმება მოყვება.

ანგარიშგასაწევია უდავოდ ის გარემოებაც, რომ მარტო წლეულს **საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებას 315 მილიონი ლარი დასჭირდება,** ხოლო ჩვენთვის ფინანსურად ყველაზე მძიმე, როგორც „სრ“-ის ფურცლებზე არაერთგზის აღგვინიშნავს, 2013 წელი იქნება, როცა გადასახდელი მილიარდ ლარზე მეტი გვექნება. წლეულს, როგორც ცნობილია, მთავრობა ევრობონდების, ასე ვთქვათ, „მეორე ნაკადის“ გამოშვებას აპირებს და თუ ეს პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება, მომავალი წლების ბიუჯეტების ლომის წილი, ფაქტობრივად, საგარეო ვალის მომსახურებას დასჭირდება.

**ისეთი რთული მექანიზმის, როგორიც ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტია, ერთი ხელის დაკვრით „დალაგება“ შეუძლებელია, თუმცა ამის მიღწევა ეკონომიკური პრობლემების ახლებური ხედვით და გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის მთავრობისა და ბიზნესსტრუქტურების ერთიანად შემუშავების შედეგად თანდათანობით შეიძლება.** ამასთან, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები უნდა იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა; საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის მაქსიმალური გამჭვირვალობა; ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნა მისი გამარტივებისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირების გზით; საბანკო-საფინანსო სისტემის სტაბილურობა და მასზე ზედამხედველობის გაძლიერება; კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც ქმედითმა ანტიმონოპოლიურმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს; სახელმწიფო შესყიდვების სისტემის, ასევე პრივატიზების პროცესის უკიდურესი გამჭვირვალობა. ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში პირდაპირი, მიზნობრივი ინვესტიციების მოზიდვას, და, რაც უმნიშვნელოვანესია, საკუთრების უფლებების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.

**ოთარ ტურაბელიძე**

განგაში

# „ხალხს ზნეობა რომ მოეშლება, იმას რა გადაარჩენს?“

**კითხულობს ბატონი ოტია იოსელიანი პრესის ფურცლებიდან.**

ჟურნალისტს დაურეკავს მასთან საახალწლოდ. ბატონი ოტია ისე ყოფილა შეშფოთებული ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით, რომ საახალწლოდ თავის ხალხისათვის კეთილი სურვილების გადმოცემა ვერ მოუხერხებია: უთქვამს, ხალხში ზნეობა რომ მოიშლება იმას რა გადაარჩენსო.

იქნებ ზედმეტად მკაცრია ღვაწლმოსილი მწერალი, რომლის უბრალო გამოჩენაც ტელევიზორის ეკრანზე, ან ინტერვიუ პრესის ფურცლებიდან, ჩვენთვის (ძალიან ბევრისთვისძ ნუგეშისმომტანია; ან რა კატეგორიაა ზნეობა, რითი იზომება და სად, ხალხის რომელ ფენაში მოიშალა იგი იმდენად, რომ თვით ხალხის გადარჩენაც კი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ?

კალამი რომ არ გამექცეს და საკუთარი თვალისმიერი არ მოვახვიო მკითხველს, მივყვეთ ბატონ ოტიას ნათქვამს. „დაქცეულია და გაოხრებული ქვეყანა. აგერ, ახლა, უკვე რამდენი დღეა გვიშტიბში დენი გამორთული გვაქვს... ვართ ყინვასა და სიცივეში... საჭმელი და სასმელი ყოველდღე ძვირდება... გლეხი აღარაა სოფელში, მიწის 20 პროცენტი თუ არის დამუშავებული და ისიც იმ ორ ბებერს მოჰყავს, სოფლად რომ დარჩა... სიმინდი რომ შემოიტანეს ამერიკული, ბევრ მოსავალს იძლევაო, კი იძლევა ბევრს, მაგრამ საქონლისთვის თუ გამოდგება მარტო“...

ყველა ჩამოთვლილ საკითხს უნდა წყვეტდეს ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ ისეა ეს ორგანო გაუფასურებული, რომ სოფლად მაცხოვრებლებს აღარც ახსოვთ, არსებობს თუ არა მუნიციპალური საკრებულო. კონსტიტუციაში შეტანილმა დამატებითმა ცვლილებებმა მიზანმიმართულად არ დაადგინა, თუ ვინ უნდა მოახდინოს მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. დღეს საკრებულოს არავინ არაფერს ეკითხება, ყველაფერს გუბერნატორები და სამინისტროები წყვეტენ თავიანთი შეხედულებებისამებრ, მაგრამ, ამავე დროს, როდესაც რაიონში ელექტროენერგიაზე, სასმელ წყალზე და სხვა რამეებზე მოსაკრებლებს იღებენ და ბიუჯეტის გვერდის ავლით, როგორც ამტკიცებენ, „ქურდული წესით“ ანაწილებენ, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, გაარკვიონ ამ მოქმედებათა კანონიერება. საკრებულოს წევრების მხრივ მათი ამომრჩევლების ინტერესების იგნორირება არა მარტო დიდი უზნეობა, არამედ დანაშაულიც არის და მათ პასუხიც უნდა აგონ.

ფუნქციადაკარგული და ინერტული საკრებულოები, რასაკვირველია, ვერ შეძლებენ ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა დაუმუშავებელი მიწის რაოდენობის შემცირება. რა უნდა მოუხერხონ მათ გლეხ კაცს, რომელიც ქალაქში დახლში დადგა და ყიდის არა მარტო იმ „ორი ბებერის“ მოყვანილ ჭირნახულს, არამედ საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით შემოტანილ სხვადასხვა პროდუქტს, რადგან ამ გზით უფრო მეტ ფულს შოულობს. სასაცილოა ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების მცდელობა მიწის ბაზრის გააქტიურების თაობაზე. როგორც აცხადებენ, თუ გლეხი არ ამუშავებს თავის მიწის ნაკვეთს, ის უნდა გაყიდოსო.

სად ისწავლეს ამ დალოცვილებმა, რა ისწავლეს, ვინ იყო მათი მასწავლებელი?

ჩვენი აზრით, უზნეობის აფეთქება დაიწყო ამ ოცდასამი წლის წინათ, როდესაც ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა რა თავიანთი თავი ეროვნული მოძრაობის ლიდერებად და ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელების გატოლება მოინდომა, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, დაიწყო საწარმოო დანიშნულების ობიექტების ნგრევა, ქვირადღირებული მოწყობილობა-დანადგარების გაყიდვა-განადგურება, ეროვნული შუღლის გამოჩხრეკვა და მისი ომებში გაღაზრდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ დაანგრიეს წარმოებითი ურთიერთობანი, გააუქმეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ქვეყანაში დაამკვიდრეს შიმშილი, სიბნელე, უზნეობა, მაღალი ზნეობრივი ადამიანების ქვეყნიდან მიგრაციული პროცესები.

მიგრაციული პროცესები ჩვენს ქვეყანაში დღესაც მიმდინარეობს.

მუნიციპალური საკრებულოებისთვის კუთვნილი უფლებების დაბრუნება, არა მარტო დასაბამს მისცემს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, არამედ იგი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გაუწევს ქვეყნის ავტორიტარულ რეჟიმს. ქვეყნის დემოკრატიზაცია მხოლოდ ასეთი ნაბიჯებით იწყება.

ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად მოიგებს ქვეყანა, თუ ღვაწლმოსილი მწერლის აღშფოთება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

**ნუგზარ კობახიძე**

ინფორმაცია

## ეგვიპტეში ქართველი ტურისტები აღარ არიან

**ეგვიპტის კურორტ შარმ ელ შეიხიდან გუშინ გამთენიისას სპეციალური რეისით ქართველი ტურისტების ბოლო ნაკადი ჩამოვიდა. კომპანია „აირზენაში“ აცხადებენ, რომ ეგვიპტის საკურორტო ქალაქებში ქართველი ტურისტები აღარ არიან.**




**მათივე თქმით, თუკი საჭირო გახდა ავიაკომპანია ეგვიპტის მიმართულებით რეისს ისევ შეასრულებს.**

**ჩამოსული 50-მდე ტურისტის განცხადებით, ეგვიპტეში ყოფნისას მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ.**

**ეგვიპტეში არეულობა უკვე 2 კვირაზე მეტია გრძელდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, თავი შეიკავონ ეგვიპტეში გამგზავრებისგან.**

ჯი-ეიჩ-ენი

უვიცობის შედეგი

# თავიანთ შეცდომებს ბოლომდე მხოლოდ გიჟები იცავენ

## „პოლიტიკოსებო“, ისწავლეთ ისტორია!

**თითქმის ყოველდღე, ტელევიზიით ვისმენთ და პერიოდიკაში ვკითხულობთ, რომ ჩვენ ვართ მსოფლიოში ყველაზე მაგრები, ყველაზე ნიჭიერები, დიდი პატრიოტები და ა.შ. კი, ბატონო, მაგრამ ამ მაგარ, ნიჭიერ, უდიდესი პატრიოტული გრძნობების მქონე ხალხს სათანადო ყურადღება, სათანადო დაფასება და ცხოვრების სათანადო პირობები სჭირდება. ამ მხრივ კი ქვეყანაში მთლად კარგად არ უნდა იყოს საქმე. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ქუჩებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე მათხოვრის გამოწვდილი ხელი, საპროტესტო დემონსტრაციები, არსებული დემოგრაფიული სიტუაცია, უმუშევართა რაოდენობის კატასტროფული ზრდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრება და ა.შ.**

ამ, ერთი შეხედვით, მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც ამა თუ იმ დოზით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეინიშნება, ჩვენთან, მთავრობის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება, რადგანაც მათი იგნორირება ანდა მოუგვარებლობა შეიძლება დიდი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმების საფუძველი გახდეს. მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს სახელმწიფო გადატრიალებების „მცდელობათა ზედა ზღვარი“ და „წარმატების ალბათობის ზედა ზღვარი“. ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური ზედა მაჩვენებელი 1000-დან 2500 დოლარამდე მერყეობს, სახელმწიფო გადატრიალებები უმეტესად წარუმატებლად მთავრდება, ხოლო ქვეყნებში, სადაც იგივე მაჩვენებელი 2500 დოლარზე მეტია, გადატრიალებების მცდელობაც კი არ შეიმჩნევა. „რისკის ზონაში“ არიან ქვეყნები, სადაც ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1000 დოლარზე ნაკლებია. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 1000 დოლარზე ნაკლებია, ე.ი. მივეკუთვნებით „რისკის ზონაში“ მყოფ ქვეყნებს. ასეთი საშიშროების მიუხედავად, ჩვენი „პოლიტიკოსები“ (ვინც პარლამენტში შეძვრა, ანდა მაღალ თანამდებობებზე დანიშნეს, ყველა თავის თავის პოლიტიკოსს უწოდებს) ისეთი „ბრძნული“, დამრიგებლური ტონით ცდილობენ ხალხის დამოძღვრას, რომ ვისაც მართლა ხალხზე და ქვეყანაზე შესტკივა გული, შეუძლებელია მათი გაოცება და გაღიზიანება არ გამოიწვიოს. მაგრამ გაოცება და გაღიზიანება საკმარისი არ არის. საჭიროა და აუცილებელი ამ ვაიპოლიტიკოსების ნაბჟუტურალს საკადრისი პასუხი გაეცეს იმისათვის, რომ მომავალში მაინც გაიწმინდოს პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონეთა მრავალრიცხოვანი რაზმი, რათა დარწმუნდნენ, რომ პარლამენტის დეპუტატის ტვირთის ზიდვა ადვილი არ არის, რომ დემოკრატია „ლოზიოობა“ არ არის და ა.შ. ამდენად საპასუხისმგებლო და საერთო საქმისათვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტისათვის თავისი „წონიანი“ სიტყვა უნდა თქვან მასმედიამ, ჟურნალისტებმა და, საერთოდ, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, აშშ-ის პრეზიდენტის, რუზველტის შვილი შვებულებით დაბრუნდა სახლში. იგი ჟურნალისტებმა ვაშინგტონის ერთ-ერთ რესტორანში ნახეს და ერთი ამბავი ატეხეს – ამერიკელი ბიჭები ფრონტებზე იღუპებიან, პრეზიდენტის შვილი კი რესტორნებში დადისო. პრეზიდენტის შვილი იძულებული გახდა შეეწყვიტა შვებულება და სამხედრო ნაწილში დაბრუნებულიყო. აი, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ ჟურნალისტები დემოკრატიის პრინციპებისა და ქვეყნის საერთო ინტერესების, შეგნებული ან უცოდინარობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი პრესა გაივსება უყურადღებოდ დარჩენილი ისეთი „მარგალიტებით“, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ეკონომიკური საკითხების არცოდნასთან ერთად, ჩვენი „პოლიტიკოსების“ გარკვეული ნაწილი სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფექტით გამოირჩევა. მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ პარლამენტის დეპუტატები რა თავგამოდებით იბრძოდნენ ხელფასის 2 000-დან 2500 ლარამდე გადიდებისათვის (მაშინ, როდესაც პენსია 48 ლარი იყო) ერთ-ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ „მინისტრების მოადგილეებს ჩვენზე მეტი ხელფასი აქვთო“. აი, სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუში! აი, არგუმენტი, რომელიც ქვას გახეთქავს. ასეთი დეპუტატები ჩვენს პარლამენტში იშვიათობა არაა, ამიტომ მოგაწვდით მხოლოდ ამონარიდებს მათი ინტერვიუებიდან. დარწმუნებული ვარ, მათ სიტყვებს მკითხველები სათანადო კომენტარებს თვითონ გაუკეთებენ.

კორესპონდენტის კითხვაზე: „მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო მოსახლეობამ ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი?“, დეპუტატი უპასუხებს: **„მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა და თქვენ ამას ყოველდღიურად ხედავთ. საწვავის გაძვირების პირობებშიც კი, ფაქტობრივად, თბილისში მანქანა არ ჩერდება“.**

იმავე ინტერვიუში, ჟურნალისტის შენიშვნაზე: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხალხი მასობრივად გაათავისუფლეს სამსახურიდან“, რესპონდენტი უპასუხებს: **„უმუშევრობა არის გერმანიაში, საფრანგეთში და მთელ მსოფლიოში... შემცირებების ხარჯზე საჯარო სამსახურში ადამიანებს დაახლოებით 8-ჯერ გაეზარდათ ხელფასი“.** აი, ასეთი შეგნებისა და აზროვნების მქონე კაცი ქვეყნისა და ხალხისათვის რაიმე სიკეთის გამკეთებელია?

იმისათვის, რომ უმუშევართა რაოდენობა შეამცირონ, ზოგიერთ ქვეყანაში სამუშაო დღის შემცირებისა და სამდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლაზედაც კი მსჯელობენ, ეს კი სიამაყით აცხადებს „შემცირებების ხარჯზე საჯარო სამსახურში ადამიანებს დაახლოებით 8-ჯერ გაეზრდებათ ხელფასიო“. თუ რესპონდენტს მართლა ჰგონია (ხალხს შეგნებულად თუ ატყუებს, კიდევ უფრო უარესი), რომ უმუშევრობის ზრდის ხარჯზე საჯარო სამსახურში დარჩენილი ადამიანებისათვის 8-ჯერ ხელფასის გაზრდა საერთო-საქვეყნო საქმისათვის კარგია, თუ მას ჰგონია, რომ გერმანიაში და საფრანგეთში სამსახურიდან განთავისუფლებული მუშები ბედის ანაბარად ისე არიან მიტოვებული, როგორც ჩვენთან, მაშინ დავღუპულვართ და ვერ გაგვიგია. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ის, რომ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდება პარლამენტარებისა და მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები, საიდანაც ვიგებთ 4-5 სინეკურულ თანამდებობებზე, ერთდროულად, როგორ მუშაობენ დეკლარანტის დედა, მამა, მეუღლე, რამდენი ათასი ლარი, დოლარი, ევრო აქვთ განთავსებული საქართველოს და უცხოეთის ბანკებში და ა.შ. გაზეთების რედაქციებს ვთხოვ ამგვარი ცნობები არ გამოაქვეყნონ. მათ წამკითხავს ზოგიერთების პატიოსნებაში ეჭვი შეეპარება, არ დაიჯერებს, რომ უმუშევრობა და პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების ზრდა არც ისე ცუდია და ა.შ. თუ გვინდა ხალხის მოტყუება, მოვატყუოთ ისე, რომ ამ ტყუილმა ერთი წელი მაინც იმუშაოს. დამიჯერეთ ასე სჯობს!

ჩვენი „პოლიტიკოსების“ არასახელმწიფოებრივი, ქვეყნის მაღალი თანამდებობების პირთათვის შეუფერებელი, არაკომპეტენტური გამონათქვამები ისე ხშირად ქვეყნდება პერიოდიკის ფურცლებზე და გვესმის ტელევიზიით, რომ თითოეულ მათგანზე კომენტარის გაკეთება შეუძლებელია. ამიტომ, მშრალი, ოქმის ენით მოგაწვდით ამ „მარგალიტებს“: **„ცოტა მაკვირვებს ამ ხალხის. პენსია ცოტა გვაქვსო, ანუ 48 ლარს ცოტას ეძახიან** – (მაშინ პენსია 48 ლარი იყო). კორესპოდენტის კითხვას „ხალხს სამკურნალო ფული არ აქვს და საავადმყოფოში ადგილები თავისუფალიაო“, მესამე „რჩეული“ უპასუხებს: „**ქუთაისში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფო ავაშენეთ და იგი ყოველთვის დატვირთულიაო“.** და ა.შ.

ასეთ ფაქტებზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, სულ ახლახან, გაზ. „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე რომ არ დაბეჭდილიყო ახალი „შედევრები“. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა „რჩეულთა“ მოსაზრებებზე დროულად რეაგირების აუცილებლობაში.

**„წყლის გადასახადი რომ არ გადაიხადონ და დენს ჩაუჭრიან, მიხვდებიან, რომ გადასახადების გადახდა აუცილებელია... ონკანს რომ მოუშვებ, რომელშიც ისეთი წყალი მოდის, მსოფლიოში მეორე ან მესამე ადგილი უჭირავს (პირველი, ალბათ, სან-ფრანცისკოსია – ვ. თ.) და მოიხმარ, ეს კარგია, მაგრამ საფასური არ უნდა გადაიხადო?“** – აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი ა. ხეთაგური. აი, მინისტრი! აი, ხალხის მსახური! როგორც სხვა მინისტრები ესეც, ალბათ, სამინისტროში თავისი „გუნდით“ არის მისული. ასეთი ლოგიკისა და აზროვნების მქონე მინისტრი, თავის „გუნდიანად“, უკეთეს შემთხვევაში, სახლებში უნდა გაუშვა. პენსიონერებზე 150-ჯერ მეტი ყოველთვიური ოფიციალური შემოსავლის მქონე კაცი ასე რომ ემუქრება ამ გაჭირვებულ ხალხს, იგი ყველაფრის ღირსია. ახლა არ მიკვირს, თუ რატომ აგზავნიან მინისტრებს სასწავლებლად.

გამოქვეყნდა მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, პარლამენტის წევრის გ. ასანიძის ინტერვიუ, რომელშიც იგი იმდენ ორიგინალურ აზრს „ანვითარებს“, რომ მათი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია: „**ბევრი მიწა არის კერძო მფლობელობაში, რატომ არ ამუშავებენ ამ მიწებს გლეხები? სოფლის მეურნეობა თუ განვითარდება, აღარ დაგვჭირდება უცხოეთიდან პროდუქტების შემოტანა. მეტი რაღა გააკეთოს პრეზიდენტმა? ...რა უშლის ხელს ხალხს, რომ იყოლიონ ფრინველ-პირუტყვი, მოიყვანონ ბოსტნეული, ხილი, ხორბალი, სიმინდი? მიხეილ სააკაშვილი და ჩვენი გუნდი ვერ დავუბარავთ მიწას ყველას, მიუხედავად ხალხის დახმარების დიდი სურვილისა. ჩვენ ხელი შევუწყვეთ ლიტერატურის გამოცემას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განსავითარებლად. ხელისუფლებას გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს! რაც მთავარია, საქართველო გვაქვს გასაერთიანებელი“.** ეს ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა დაინახოს, თუ როგორი წარმოდგენა აქვს პარლამენტის უმრავლესობას მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის თაობაზე. ასეთი მაღალი დონის, „მეცნიერულად არგუმენტირებული“ მსჯელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მე პირადად, არ მომისმენია; ლიტერატურის გამოცემისათვის კი, კახეთიდან, მიხო, მრავალსართულიან მადლობას ალბათ ლექსად გამოაგზავნის. მართლაცდა რა ჰქნას პრეზიდენტმა და გ. ასანიძის გუნდმა მეტი? ყველას ხომ ვერ დაუბარავენ მიწას, ამავე დროს, თუ საქართველო აქვთ გასაერთიანებელი? ერთი მოკრძალებული შენიშვნა მაინც მინდა გამოვთქვა გ. ასანიძის მიმართ: თქვენ ვაჟკაცური პირდაპირობით აცხადებთ, რომ სააკაშვილი და თქვენი გუნდი მიწას ყველას ვერ დაუბარავთ (ზოგიერთი ყველას დაპირდებოდა). ამიტომ ხალხის ნაწილი უკმაყოფილო დარჩება, რამაც, შეიძლება, მათი პროტესტი გამოიწვიოს. კარგი იქნება, თუ ამ საკითხს ჩაუღრმავდებით, სპეციალურად შეისწავლით და საზოგადოებას უფრო ვრცლად გააცნობთ.

კიდევ უფრო საინტერესოა გ. ასანიძისა და მისი გუნდის შემდეგი განცხადება: **„ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არ არის კონკრეტული ადამიანებისათვის პრობლემების მოგვარება. ახლა ქვეყნის იმიჯისათვის ბრძოლის, სტაბილურობის შექმნის, საქართველოს გალამაზებისა და ინვესტიციების მოზიდვის დროა. ჯერ კარგი სახელი უნდა მოვიპოვოთ საერთაშორისო მასშტაბით“.**



ბატონო გიორგი! კონკრეტული ადამიანების პრობლემებს თუ არ მიაქცევთ მეტ ყურადღებას, ისე ვერც ქვეყნის იმიჯს გააუმჯობესებთ, ვერც სტაბილურობას დაამყარებთ, ვერც ინვესტიციებს მოიზიდავთ, ვერც საერთაშორისო ასპარეზზე კარგ სახელს ვერ დაიმკვიდრებთ და რაც მთავარია, ქვეყანას ვერ გააერთიანებთ. პირიქით შევრცხვებით საერთაშორისო მასშტაბით! ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია. **თქვენ და თქვენი გუნდის წევრები პიროვნებას, მის ბუნებრივ უფლებებს, უყურებთ ისე, როგორც უყურებდნენ ძველ რუსეთში და დღესაც ამ ქვეყანაში პიროვნების უფლებებისადმი იგივე დამოკიდებულებას იჩენენ. XIX საუკუნეშიც კი რუსეთში, მონათმფლობელობის გადმონაშთები იყო. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დანგრეული ეკონომიკის აღდგენა გერმანიაში ადამიანების საცხოვრებელი პირობების მოწესრიგებით დაიწყეს. ამერიკელები დღესაც ეძებენ ვიეტნამთან ომში დაღუპული თავიანთი ჯარისკაცების საფლავებს იმისათვის, რომ გადმოასვენონ ისინი სამშობლოში და ღირსეულად მიაბარონ ისინი მიწას. რუსეთში კი ჩეჩნებთან ომში დაღუპულ მეომრებს თვითმცლელებიდან ყრიდნენ ტრაქტორით გათხრილ ორმოში.** აი, ასეთ და სხვა ჯერ კიდევ არსებულ ფეოდალურ გადმონაშთებს (სენიორული სასამართლოები, ნეპოტიზმი და სხვ.) უნდა ვებრძოლოდ და არა სადღაც ბარელიეფებზე შემორჩენილ ნამგალსა და უროს.

1878 წელს შემოერთებული აჭარიდან ათასობით ადამიანი კვლავ თურქეთში გარბოდა, რადგანაც ისინი ვერ ეგუებოდნენ რუსეთში გაბატონებულ ფელდფებელურ წესებს. ამასთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე ქართველებს აფრთხილებდა: პატივი ეცით აჭარლების ადათწესებს, მათ ტრადიციებს. ადამიანები ცხოვრების ახალ პირობებს შეეგუება და მიიღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საკუთარი ოჯახის მაგალითით დარწმუნდება ახალი საცხოვრებელი პირობების უპირატესობაში. ეთნიკური ერთობა ამისათვის საკმარისი არ არისო და მოჰყავდა ელზას-ლორენში მცხოვრები გერმანელების მაგალითი: 1871 წელს, საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ, ელზასი და ლორენი, იქ მცხოვრები გერმანელებით, გერმანიის იმპერიამ შეიერთა. მაგრამ შემოერთებული გერმანელები ვერ ეგუებოდნენ ცხოვრების ახალ პირობებს, საფრანგეთში ისინი უფრო კარგ პირობებში ცხოვრობდნენ.

**ეთნიკური ერთობა თუ საკმარისი არ არის სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისათვის, თქვენ და თქვენი გუნდი ფიქრობთ, სხვა ეთნოსის ხალხები – აფხაზები და ოსები, სიხარულით შეუერთდებიან იმ სახელმწიფოს, სადაც „კონკრეტული ადამიანების პრობლემების მოსაწესრიგებლად“ არ სცალიათ? თქვენი განცხადება – ჯერ საქართველო უნდა გავაერთიანოთ და შემდეგ მივხედავთ კონკრეტული ადამიანების პრობლემებსო, მაგონებს გასული საუკუნის 60-იან წლებში გავრცელებული ანეკდოტის გმირს, რომელიც თავის სიზარმაცეს ასე ამართლებს: თოხს ხელს მანამ არ მოვკიდებ, სანამ ამერიკა კუბის წინააღმდეგ აგრესიას არ შეწყვეტსო. თქვენც „კონკრეტული ადამიანების პრობლემების მოგვარებას“ არ ცდილობთ მანამ, სანამ საქართველოს არ გააერთიანებთ. საპატიო მიზეზია, ვერაფერს ვერ იტყვი.**

მეფის ნავში ჩაჯდომის მსურველები აგრესიული, მენტორული ტონით დაწერილი წერილების გამოქვეყნებას კვლავ აგრძელებენ, რაც ხელისუფლებისთვის არ არის კარგი და არც ამ წერილების ავტორებს მოუტანს სიკეთეს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ალ. ამილახვარი წერდა: მეფეს „ჰხამს რჩეულთა კაცთა ყოფა განმგედ კარისა სამეფოისათა, რათა უწესოდ ქცეულებამან მათგან არა გამოაჩინოს მეფე საძაგლად“.

საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებამდე, კარგი იქნება, თუ ჩვენი ვაიპოლიტიკოსები, გაითვალისწინებენ XVII საუკუნის პოლიტიკური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის ჯეიმზ ჰარინგტონის მოსაზრებას: „იმისათვის, რომ პოლიტიკოსი გახდე, საჭიროა ჯერ ისტორიკოსი და მოაზროვნე იყო; თუ იგი მოაზროვნე არაა, ვერ იტყვის რა არის, და თუ მან არ იცის რა იყო და რა არის, იგი ვერ იტყვის იმას რა უნდა იყოს და რა შეიძლება იყოს, ანუ, როგორც ლაიბნიცი ამბობს „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

მე მაინც მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი „პოლიტიკოსების“ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები არის უცოდინარობის და შეცდომების შედეგი. მაგრამ, როგორც ციცერონი ამბობდა, თავიანთ შეცდომებს ბოლომდე მხოლოდ გიჟები იცავენ.

ჭკვიანი კაცი იყო ციცერონი.!

**ვაჟა თვალავაძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის აპოლოგეტები დემოკრატიის ჩაშლისთვის მეტს აკეთებენ, ვიდრე რუსეთს ოცნება შეეძლო

**2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მისი მეუღლე აღნიშნავდა, რომ სააკაშვილი ცდილობს გაჰყვეს ძლიერი ქართველი ლიდერების ტრადიციებს, ისეთებისა, როგორებიც იყვნენ სტალინი და ბერია. სააკაშვილმა გვაგრძნობინა, თუ რა ელოდება მის ქვეყანას, როდესაც არჩევნებში მოიპოვა ხმების 96 პროცენტი მაშინ, როდესაც უახლოესმა მეტოქემ მხოლოდ 1,9 პროცენტი დააგროვა.**

თავისი განზრახვანი მან დაადასტურა ინტერვიუში, როდესაც თქვა, რომ ვერანაირ აზრს ვერ ხედავს ოპოზიციური დეპუტატების ყოფნაში ქვეყნის პარლამენტში. ამავე დროს სააკაშვილი გვპირდება დაუახლოვოს საქართველო დასავლეთს და მიაღწიოს ევროკავშირსა და ნატოში შესვლას.

2008 წელს რუსეთთან ომის შემდეგ მოდურად იქცა სააკაშვილის რეჟიმის რეკლამირება რუსეთის გავლენის საპირისპიროდ მის მოკავშირე რესპუბლიკებში. როდესაც ომი დაიწყო, პოლიტიკოსები ერთსულოვნად გაჰკიოდნენ რუსული აგრესიის შესახებ. იმ პერიოდში გაისმა კიდეც წინადადება მიეღოთ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში წევრობის კანდიდატობისადმი მოთხოვნების დაუცველად, აგრეთვე გაიგზავნოს ბრიტანული ჯარები რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად კავკასიაში. ამ წინადადების მასშტაბი და მნიშვნელობა, აგრეთვე მისი შედეგები ბრიტანეთის არმიისთვის მაშინ, როდესაც ჩვენ აღმოვჩნდით ერაყთან და ავღანეთთან ომში ჩათრეულები, ძალიან ცოტამ თუ გაითვალისწინა. შემდეგ კი ევროკავშირმა და ეუთომ მოაწყეს გამოკვლევა, რომლის შედეგადაც საქართველოს დაეკისრა პასუხისმგებლობა ამ კონფლიქტის დაწყებისთვის და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნისთვის.

მართლაც, სააკაშვილს შეუძლია მიგვითითოს მთელ რიგ შთამბეჭდავ წარმატებებზე. მან მოახდინა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირება, ქვეყანა გადააქცია ერთ-ერთ მოწინავედ მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივისა და სიიოლის თვალსაზრისით. ასეთი წარმატებების მიღწევა მას შეეძლო ძირითადად თავისუფალი ბაზრის პრინციპების დაცვითა და გადასახადების შემცირებით. მაგრამ საქართველოში სააკაშვილის მოსვლას მოჰყვა სხვა ცვლილებებიც. საქართველოში უფრო ხშირად და უფრო უხეშად დაიწყეს ადამიანის უფლებების დარღვევა, თავისუფალი სიტყვის დევნა, აგრეთვე სამართლის ნორმების მსხვერპლად შეწირვა სახელმწიფო ხელისუფლების საამებლად.

საქართველოს დაშვება ავტორიტარიზმის უფსკრულში შეინიშნება მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. რეჟიმის კრიტიკოსები ბრალს სდებენ მას კორუფციაში, აგრეთვე მთელი რიგი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების დაღუპვაში საიდუმლო ვითარებებში. პოლიტიკური ატმოსფერო ქვეყანაში დაძაბა 2007 წლის მოვლენებმაც, როდესაც 50-ათასზე მეტი დემონსტრანტი გამოვიდა თბილისის ქუჩებში სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. საქართველოს ხელმძღვანელობამ უპასუხა იმით, რომ პროტესტანტების წინააღმდეგ პოლიცია გაგზავნა ჯოხებითა და ცრემლსადენი გაზებით. ერთადერთი სატელევიზიო სადგური, რომელიც აშუქებდა პროტესტის მსვლელობას, მოხსნეს ეთერიდან ავტომატების კონდახებით, შემდეგ გადასცეს იგი სახელმწიფოს საკუთრებაში. ხოლო, როდესაც ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა სააკაშვილის მთავრობაში გამოაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში, ორი დღის შემდეგ იგი დააპატიმრეს და აწამეს.



სააკაშვილის მტკიცების თანახმად, ამ პროტესტების უკან დგანან რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მაღალი რანგის თანამშრომლები. ის ხშირად ბრალს სდებს ოპოზიციას იმაში, რომ იგი მოსკოვის მხარდაჭერით ცდილობს განახორციელოს გადატრიალება და მოვიდეს ხელისუფლებაში.

რამდენადაც ეს სამწუხარო არ უნდა იყოს, მსოფლიო გაერთიანების ყურადღებამ საქართველოსადმი 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ვერ აიძულა ქვეყნის ხელისუფლება გამოიჩინოს თავშეკავებულობა ოპოზიციასთან ურთიერთობაში. პირიქით, საქართველოს პოზიციის ერთმნიშვნელოვანმა მორალურმა მხარდაჭერამ ამ ომში, აგრეთვე ხშირად გაჟღერებულმა სახოტბო ოდებმა სააკაშვილის მისამართით, როგორც დემოკრატიის შუქურისადმი, მის რეჟიმს კიდევ უფრო მეტი სითამამე შესძინეს, მან ჩათვალა, რომ შეუძლია იმოქმედოს დაუსჯელად.

2010 წლის მარტში საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ მასობრივი პანიკა გამოიწვია, როდესაც ეთერში გადასცა გათამაშება-რეპორტაჟი რუსეთის ახალი შემოჭრის შესახებ. ეს გადაცემა, რომელშიც გამოიყენეს რეალური ომის საარქივო კადრები, გაამართლეს შემდეგნაირად: ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცუდი დღისთვის. ამ რეპორტაჟის ძირითადი აზრი იყო ის, თითქოს ქართველმა ოპოზიციონერებმა სთხოვეს რუსეთს განახორციელოს ინტერვენცია, რათა გადააყენოს სააკაშვილის ხელისუფლება. ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმა მოითხოვა მისთვის ბოდიშის მოხდა მას შემდეგ, რაც ყალბ რეპორტაჟში გაისმა მისი გაყალბებული ხმა, რომლითაც იგი მხარს უჭერდა სააკაშვილის პოზიციას.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმღებია უცხოური დახმარებისა. მისი ეკონომიკა ხუთი პროცენტით შედგება დახმარებისგან, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების კრედიტებისგან. ბრიტანეთმა 2008-2009 წლებში თბილისში გაგზავნა 8,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამას გარდა იგი გამოდიოდა საქართველოს წევრად მიღების მხარდამჭერად ევროკავშირსა და ნატოში.

მათ, ვინც გმობს რუსეთს მის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისთვის და მოსაწყენად აცხადებს გაუთავებლად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, უნდა შეიგნონ, რომ ბრიტანეთის ეროვნული ინტერესები არ არის ის, რომ წაართვას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს უფლება თავად განსაზღვრონ საკუთარი ბედი. მათ აგრეთვე უნდა დავუსვათ შეკითხვა, რატომ არიან სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ხალხები ასე გადაჭრით წინააღმდეგი, რომ იცხოვრონ საქართველოს კონტროლის ქვეშ და რატომ იბრძვიან იარაღით ხელში თავიანთი პოზიციისთვის.

დემოკრატიის მდგომარეობას საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში, რომელსაც აქვს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიცია ევროპის ენერგეტიკული უშიშროებისთვის და სადაც უხვადაა ეთნოსებს შორის კონფლიქტები, ავტორიტარული რეჟიმები, ძნელია იმოქმედო რაციონალურად და პასუხისმგებლობით სიტუაციების მოსაწესრიგებლად. როგორც კავკასიაში არაერთგზის აჩვენეს მოვლენებმა, ასეთი უუნარობა შეიძლება აისახოს სხვა ქვეყნებზეც, თუ ისინი აღმოჩნდებიან ჩათრეული სამოქალაქო ომში ან ეთნიკურ წმენდებში. თუ საქართველომ მართლაც დაიმსახურა ჩვენი მხარდაჭერა და ღირსია შევიდეს ევროკავშირსა და ნატოში, მან უნდა აღიაროს სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის უფლება თვითგამორკვევაზე და წარმოაჩინოს თავისი ერთგულება დასავლური ღირებულებებისადმი. ეს კი შესაძლებელია მრავალი წლის შემდეგ, როდესაც სააკაშვილი წავა ხელისუფლებიდან.

conservativehome

# ჩეხებმა ქართველ მთიელებს შუქი მისცეს

**მალე ბნელდება. თუშეთში, სოფელ ომალოში პატარა ქვის სახლში უხვად არის გაშლილი სუფრა. მას უსხედან ტურისტები ისრაელიდან. იჩირაულების ოჯახის სასადილო პანსიონში უკვე ბნელა. ნავთის ლამპა უკვე აღარ ყოფნის. 50 წლის ეკო იჩირაული სახლის წინ ებრძვის ბენზინის გენერატორს, რომელიც ვერაფრით ჩაურთავს. მეზობლებმა ეს ბრძოლა უკვე მოიგეს: იქ, იმათთან ნათურები და ელექტროხელსაწყოები უკვე მუშაობენ მზის ბატარეებზე სახლის სახურავზე.**

როგორც იქნა გენერატორი ამუშავდა, ნათურები აინთო. სახლიდან მოისმის ნორჩი ტურისტების ტაში, ისინი ამ მთიან რეგიონში საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოვიდნენ, უფრო მეტი, ვიდრე ერთი წლის წინათ. მალე თუშეთში ზოგიერთ სახლში ასეთ ჩვეულებრივ სცენას უკვე ვეღარ იხილავთ. ბენზინის გენერატორებს თანდათან ცვლის მზის ენერგია კოლექტორებისგან. თუშეთი საქართველოს სხვა მთის რეგიონებთან ერთად აღმოჩნდა ამბიციოზურ პროექტში, რომლის ბიუჯეტიც 7 მილიონ ჩეხურ კრონს შეადგენს. ამ პროექტს კავკასიაში ჩეხეთის რესპუბლიკა ახორციელებს.

„გაისად, ალბათ, ელექტროობასთან დაკავშირებით ყველაფერი უკეთ იქნება. აქ უნდა ააგონ ახალი აეროპორტი და იმედი გვაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ველირსებით ელექტროდენსაც. დაგეგმილი ელექტრიფიკაცია აქ მთებში ცხოვრებას გააიოლებს“, – ამბობს ია იჩირაული, იგი დაახლოებით 40 წლისაა. ზაფხულისთვის იგი ტურისტებს სთავაზობს საცხოვრებელს დაახლოებით 300 ჩეხურ კრონად ერთ კაცზე დღე-ღამეში.

ასეთი მომჭირნე მეწარმე თუშეთში ათობითაა. საოჯახო პანსიონები აქ უკანასკნელ წლებში იზრდება, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ.

თუშეთში, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში უცხოელი ტურისტების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხდება, საოჯახო მეურნეობაში რევოლუცია ხდება. თვალსაწიერ მომავალში ელექტრიფიცირებული იქნება ყველა დიდი სოფელი. თუშეთის ელექტრიფიკაცია უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი თავად თუშებისთვისაც, რომლებიც უპირატესობას დაბლობში ცხოვრებას ანიჭებდნენ აქამდე. ჩეხეთის დახმარების წყალობით, ამ იზოლირებულ მხარეში შეიძლება კვლავ გაიზარდოს მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი.

მაგრამ ჩეხური პროექტი არ არის გათვალისწინებული სახლების მიერთებაზე საქართველოს ცენტრალურ ელექტროქსელთან, როგორც ეს 80-იან წლებში იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში. ამ ცოტა ხნის წინანდელ პერიოდზე მეტყველებს დაჟანგული ელექტრო ბოძები და საყრდენები, რომელთა საშუალებითაც თუშეთში მთების გამოვლით, მათი სიმაღლე 3 ათასი მეტრია ზღვის დონიდან, მოდიოდა ელექტროენერგია ცენტრალური საქართველოდან.

განვითარების ჩეხური სააგენტოს კოორდინატორი საქართველოში იან ჩერნიკი აღნიშნავს, რომ პროექტი შეამცირებს მეტად ძვირფასი ბუნებრივი სივრცის დანგრევის რისკს. გენერატორების მუშაობისთვის ელექტროენერგიის საწარმოებლად საჭირო იყო დიდი ოდენობის საწვავი მთის სოფლებში.

„ახლა პროექტის წყალობით ხალხი და დაწესებულებები უკეთ იმუშავებენ და აღარ იქნებიან დამოკიდებული ბენზინის მიწოდებაზე გენერატორებისთვის. უფრო მეტიც, ძალიან სარისკოა ინახავდე ასობით ლიტრ ბენზინს მკაცრად დაცული ბუნებრივი ზონის მახლობლად“, – დაუმატა ჩერნიკმა.

თუშეთში, საერთოდ, დაახლოებით 42 სოფელია, თანაც მათ ნახევარში ხალხი ცხოვრობს მხოლოდ ზაფხულობით. მთელს რეგიონში ცხოვრობს დაახლოებით 200 ოჯახი, რომლებიც ძირითადად თავს ირჩენენ მეცხოველეობით, მეცხვარეობით. უკანასკნელ წლებში ეროვნული პარკი „თუშეთი“ იზიდავს სულ უფრო და უფრო მეტ უცხოელ ტურისტს.

iHNed.cz

## დედამიწის ზურგზე




**ტოკიოში რუსეთის საელჩოში გამოაგზავნეს კონვერტი ტყვიებითა და მოთხოვნებით**

მასრაზე მიმაგრებულ ქაღალდში, კერძოდ, ეწერა: „ჩრდილოეთის ტერიტორიები — ეს ჩვენი მიწებია“. გამომგზავნის სახელი წერილზე არ იყო მითითებული. ის ჩააგდეს საფოსტო ყუთში. იაპონიის პოლიციამ დაიწყო გამოძიება, ამ აქციაში მან დაშინება დაინახა.

* * *

**„დერ შპიგელ“: მუბარაკს მოუნახეს ბრწყინვალე გამოსავალი პოლიტიკური კრიზისიდან**



ეგვიპტის პრეზიდენტს სთავაზობენ დაბრუნდეს გერმანიაში და გააგრძელოს მკურნალობა კერძო კლინიკაში ბადენ-ბადენის მახლობლად, შემდეგ კი უარი თქვას პრეზიდენტის პოსტზე. შესაბამისი გეგმა დაამუშავეს თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და თავად მუბარაკთან დაახლოებულმა პირებმა, როგორც ყველაზე ნაკლებად მტკივნეული გზა ეგვიპტეში პოლიტიკური ქაოსის შეწყვეტისკენ.

* * *

**კუნძულ იონდხიონდოსთან სროლების შემდეგ ჩრდილოეთმა და სამხრეთ კორეამ განაახლეს მოლაპარაკება**



თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მოლაპარაკება გაიმართებოდა თავდაცვის მინისტრების დონეზე, მაგრამ ჯერჯერობით ერთმანეთს ხვდებიან მხოლოდ პოლკოვნიკები. ეს მოლაპარაკება საფუძველს ჩაუყრის უფრო მაღალ დონეზე შეხვედრებს. შემდგომ არ არის გამორიცხული სამხრეთ კორეის პრეზიდენტის შეხვედრა კიმ ჩენ ირთან.

* * *

**მებრძოლმა მამალმა დაჭრა ამერიკელი იატაკქვეშა ბრძოლის დროს**

ფრინველი თავს დაესხა მაყურებელს, 35 წლის ლუის ოჩუას და დაჭრა იგი ფეხში სპეციალური დანით, რომელიც მიმაგრებული იყო მის თათებზე. ამ დროს შემოიჭრა პოლიცია და ყველა გაიქცა. როდესაც დაჭრილმა მამაკაცმა, როგორც იქნა, მიმართა ექიმებს, უკვე გვიანი იყო. იგი სისხლისგან დაიცალა.



◎ ცუდაკაცისა და მახათისა არ იყოს...

# ამან ესა თქვა იმაზე, იმან ისა თქვა ამაზეო...

**ანუ, როგორც ჩანს, ქრონიკელ ზედელაშვილს, გელასა (იგულისხმეთ გლახა ჭრიაშვილი), საქმე გამოლევია და აჭიაბაჭიობა ჟურნალისტიკა ჰგონია**




**მეტისმეტი რომ რეტისრეტია, ხოლო რეტისრეტი რომ მაინცადამაინც კარგი საქმე არ არის, ამას დიდი ფიცი და მტკიცი არ სჭირდება... ეს რეტისრეტი კი ამ შემთხვევაში „კვირის ქრონიკის“ მეტისმეტად გარეტისრეტებულმა ეგრეთ წოდებულმა ვითომ ჟურნალისტურმა ინტერვიუ-რეპორტაჟებმა წამოგვაგონეს.**

ვიცით, ბატონო, რომ, ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროსი არ იყოს, ამ ჩვენს „ალიასაც“ თავისი „კუდი“ აქვს „ქრონიკის“ სახით. ისიც ვიცით, რომ „ქრონიკა“ „უთვალავგვერდიანი“ ყოველკვირეულია და ავად თუ კარგად შევსება უნდა. კიდევ ისიც ვიცით, რომ ამ „უთვალავგვერდიან“ ყოველკვირეულს ახალი ნომრის გამოსვლამდე გასაღება უნდა, გასაღებას კი მამალი ჭორი უნდა, მამალი სკანდალი უნდა, საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფში ათასი ოხრობისა და დავიდარაბის მოძებნა უნდა... ხოლო თუ მაინცდამაინც უხვად და ბარაქიანად არ იძებნება... აქ უკვე უხვად და ხვავრიელად გამოგონება ხდება საჭირო. და იწყება ეგრეთ წოდებული იწილობიწილო, აჭიაბაჭია, აჩაბაჩა და, რასაკვირველია, ჟურნალისტური ხარისხის დაცემის ხარჯზე...

სწორედაც ამ ვაიჟურნალისტური იწილობიწილოს, აჭიაბაჭიას თუ აჩაბაჩას თვალადსაჩენი მაგალითია ამ ბოლო დროს „ქრონიკის“ ფურცლებზე გელაზედელაშვილისეული მართლაცდა გაუთავებელი გლახაჭრიაშვილობა... და ახლა არ იკითხავთ, რის გამო? რის გამო და, შარშან დეკემბერში მწერალთა კავშირის გამგეობამ მწერალთა კავშირისავე გამომცემლობის („ეროვნული მწერლობის“) დირექტორობიდან გაათავისუფლა ერთი, ალბათ, საშუალო დონის პოეტი და გამომცემელი, გაფულადებულ-გაგულადებული ვაჟა ოთარაშვილი, რომელმაც საზოგადოებრივი დაწესებულება საკუთარ დუქნად აქცია და ნიჭისა და უნარის წყალობით კი არა, დიახაც ხსენებული დუქნის წყალობით გაეჩოებული თავის „გამეტრებას“ შეეცადა.




და ატყდა, მაგრამ რა ატყდა უთვალავგვერდიანი „ქრონიკის“ ფურცლებზე სულ „ფაიზალ-ფაიზალი“ სათაურების კორიანტელი... „სკანდალი“, „სკანდალი“, „სკანდალი“ საქართველოს მწერალთა კავშირში... მაგრამ, მოგეხსენებათ, მწერალთა კავშირის ეს „სკანდალი“ კი არა, ანუ გელა ზედელაშვილისგან (გლახა ჭრიაშვილისგანძ ჭიანჭველის სპილოდ გადაქცევის ეს ნაილაჯევი პროცესი კი არა, ბოლოს და ბოლოს ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომებიც მთავრდება, და თანდათან, ცხადია, მწერალთა ამ „სკანდალის“ მარაგიც ამოიწურა. თუმცა არა და არ ამოიწურა „ჭორჩიტების შემგროვებელი“ ზედელაშვილ-ჭრიაშვილის წარმოსახვის უნარი, ანუ ფანტაზია, რომელმაც კიდევ ერთ ახალ ხერხს მიაგნო (ჟურნალისტი ხომ სულ უნდა ძიებაში იყოს!ძ...

მწერალთა კავშირის გამგეობის ერთ-ერთ რომელიმე წევრთან (თანაც აუცილებლად „სკანდალის“ მონაწილესთანძ გაისმის მობილური ტელეფონის ზარი (ჩანს, ხარჯს უთვალავგვერდიანი „ქრონიკის“ რედაქცია იხდის!ძ: — გაიგეთ, არა, რას ამბობს თქვენზე ოთარაშვილი? პოეტ ამაშუკელს უგინებიხართ, საპატრიარქოში სტუმრობაზე ტყუილები დაგიწერიათ... თანაც კიდევ ხუთასი ლარიც გითხოვიათ...

შენ ესაუბრები როგორც კოლეგას, რომელსაც, შენის ფიქრით, მხოლოდ ერთი სურვილი ამოქმედებს: უნდა რომ წყალწაღებული და ხავსჩაჭიდებული ოთარაშვილისგან ცილისმწამებლურად ნასროლი ტალახი ჩამოგრეცხოს, ის კი თურმე ჩასაფრებული გირეკავს, ყველაფერს მობილურზე იწერს (ეს კიდევ ჯანდაბას!ძ და თავისი მოკლე ჭკუით „ალამაზებს“ კიდეც (რაღაცას უმატებს, რაღაცას აკლებს, რასაკვირველია, ანგარიშიანად!..ძ...

„კუდი“ რის გამქნევი და გამომქნევია, „კუდს“, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, „თავი“ აქნევს, და მესკანდალე კალამგირმა ჟურნალისტმაც იცის, რომ მწერალიც არის და მწერალიც. სკანდალს რომ მეტი ფასი დაედოს, ამისთვის საჭიროა საქმეში „მძიმეწონოსანთა“ ჩართვა. ჭაბუა ამირეჯიბი თუ არ იქნება, ჯანსუღ ჩარკვიანი და რეზო ამაშუკელი მაინც უნდა იყონ. რეზო ამაშუკელი უკვე ჩართეს, ოთარაშვილის გულისთვის გურამ გოგიაშვილს აგინაო. ახლა ფამილარული ზარი ჯანსუღთან გაისმა: — ბატონო ჯანსუღ, ახლა ჩამოკაკლეთ, როგორ გაყიდეთ ჟურნალ „დროშის“ შენობა და ოთახები.

როგორც თურმე მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბაღათერ არაბული ამბობს, ოთარაშვილმა ახლა ჯანსუღ ჩარკვიანი ამოიღო მიზანში, თავის დროზე, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი რომ იყო და ოთახები გაყიდა, ეგ რანაირად მოხდა, ეგეც გამოიძიეთო.

ჯანსუღ ჩარკვიანი ამ სისულელეს, რა თქმა უნდა, ჩვეული იუმორით „ახვევს გაყიდულ“ „დროშაში“ და ტარს თვითონ ყოველგვარი ეთიკური ნორმების წრიდან კარგა გვარიანად გასულ ქრონიკელ ჟურნალისტს აჭერინებს ხელში, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ქრონიკელ ჟურნალისტს ჟურნალისტიკის მიზანი და დანიშნულება ისე ესმის, როგორც რომელიმე სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე მოხვედრილ სოლომონ ისაკიჩს ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია.

და მერე უკვე ვინმე ათენელი ქართველი ემიგრანტი ეთერ ხვიჩია ერთვება რეპორტაჟში, და ახლა საბერძნეთის დედაქალაქიდან იწყება ქართული მწერლობის ამოლაფვა (კლასიკური ბერძნული ტრაგედიების პათოსით!ძ.

„ქრონიკის“ ბოლო ნომრის მთელი ეს ეგრეთ წოდებული რეპორტაჟი, გაზეთის ორ გვერდზე გადაჭიმულ-გადმოჭიმული, ჩასმულია ჩარჩოში, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ორადორი სიტყვა: „კვირის სკანდალი“, „კვირის სკანდალი“, „კვირის სკანდალი“ და ასე გაუთავებლად...

და, რაც მთავარია, მასალის დედაარსად თუ დედააზრად და თვითონ ჟურნალისტის თავმდაბლობის „ბრწყინვალე“ ნიმუშად გამოტანილია თვითონ ზედელაშვილის ბოლო დროის უცვლელი „გმირის“, ჭორხაბარა ვაჟა ოთარაშვილის სიტყვები, უფრო სწორად, ციტატა, სადაც „კვირის სკანდალის“ დაუშრომელი ავტორის მიმართ ნათქვამია:

**„მე დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო, ძალიან ბევრ ადამიანს ნიღაბი ჩამოხადე, ამას ვერ წარმოვიდგენდი... გავა დრო, და შენ მიერ დაბეჭდილი მასალები იქცევა მართლაც მნიშვნელოვან ისტორიად!“**

აი თურმე, როგორ „ისტორიას“ წერს ეს ჩვენი ქრონიკელი კოლეგა გელა ზედელაშვილი-გლახა ჭრიაშვილი ყოფილ პოეტ-გამომცემელ ვაჟა ოთარაშვილთან ერთად, რომელი ოთარაშვილიც თავის ლექსზე მეტად დიახაც ამ ეგრეთ წოდებულმა „სკანდალმა“ გახადა, როგორც ახლა ამბობენ, „ცნობადი სახე“.

აბა სხვა ვინ იტყოდა ასეთ „ისტორიაში შემყვან სიტყვებს“ თავის გამსახელიანებელზე, თუ არა ახლა უკვე ეს ავად „გაცნობადებული“ პოეტი-გამომცემელი ოთარაშვილი. სწორედ ამაზეა ნათქვამი ხელი ხელსა ბანს, ორივე კი პირსაო.

მართლაც, ნეტარ არიან მორწმუნენი!..

რაც შეეხება ახალ-ახალ „კვირის სკანდალებს“, კიდევ უნდა ველოდოთ, რადგან ჩვენი „სკანდალების“ ტრფიალი ავტორი რეპორტაჟის ბოლოს გვაიმედებს, ვნახოთ, კიდევ რა ბრალდებებს წაუყენებენ მწერლები ერთმანეთსო...

ასე რომ, ძვირფასო მწერლებო, ქრონიკელი ავტორის ზარს ნუღარ უპასუხებთ. ნამეტანი ჩაგვასკანდალ-გამოგვასკანდალა და თვითონ ხომ გარეტისრეტდა და გამორეტისრეტდა უგემურად ჩააჯაფსანდალებული.

**იწილო ბიწილოიძე,**
**აჭია ბაჭიაური.**

◎ ხელნაწერი წიგნი

# გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა

გასული, 2010 წლის მიწურულს რამდენიმე ერთობ საინტერესო ეთნოგრაფიული ნაშრომი შეემატა ქართულ ისტორიოგრაფიას. სერიით ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“ საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის პროექტის შესაბამისად ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას 120 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის, დ. მუსხელიშვილის, ნ. ხაზარაძის, თ. ცაგარეიშვილის, ლ. მელიქიშვილის, ი. სურგულაძის და სხვათა საყურადღებო ნაშრომები; მათ შორის ქართული ეთნოლოგიური სკოლის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის **ჯულიეტა რუხაძის** ეთნოგრაფიული ჩანაწერები **„ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში“**.

საქართველოს ეთნოლოგიის დაარსებისთანავე, მისმა მოთავემ, აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ პირველი რიგის ამოცანად შემკრებლობითი საქმიანობა გამოაცხადა, რადგან მასზე იყო დამოკიდებული დარგის შენება. იმ დროს საქართველოში გატაცებული იყვნენ ახალი თეორიებისა და შეხედულებების გავრცელებით, დარგის სახელწოდების ცვლილებით, მაგრამ ამ თეორიებისთვის საჭირო დამაჯერებელი ფაქტები არ იყო. რევოლუციების შედეგად ისპობოდა ყოფის ძველი რეალიები, შემოდიოდა ახალი, ეთნოგრაფიული მონაცემები და უსისტემოდ გროვდებოდა.

ამ დროიდან იწყება ფართო საველე ეთნოგრაფიული სამუშაოების გაშლა. საველე მასალები გროვდებოდა წინასწარ, თემატიკის მიხედვით შემუშავებული პროგრამა-კითხვარებით, რომლებიც შემდეგ დღიურების ან კლასიფიცირებული მასალის სახით გადათეთრებული გროვდებოდა. გიორგი ჩიტაია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საველე მუშაობის მეთოდოლოგიისა და ჩანაწერების სისწორის დაცვას, რაც უპირველესად გულისხმობდა ადგილობრივი დიალექტის დაცვით, სიტყვასიტყვით ჩანაწერს, რათა არ დარღვეულიყო ეთნოგრაფიული მუშაობის სპეციფიკა.



ჯულიეტა რუხაძის საველე ეთნოგრაფიული დღიურები, შეკრებილი საქართველოს ყველა კუთხეში 1947-2000 წლებში უნიკალურია თავისი მასშტაბით, შინაარსის მრავალმხრივობითა და შესრულების დონით, მით უფრო, რომ მეცნიერებისათვის საჭირო ასეთი ძვირფასი ცნობები ყოფაში დღეს უკვე აღარ დასტურდება.

ტომი ეძღვნება ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებს. ისინი შეკრებილია 53 წლის წინათ 1947-1949 წლებში პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ შედგენილი სანიმუშო პროგრამა-კითხვარის მიხედვით. ჯ. რუხაძეს დავალებული ჰქონდა აგრარულ კულტურებთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური წესების დადგენა ქართლში. ამ მიმართულებით მუშაობა ჩატარდა დუშეთის რაიონში, მუხრანის ველზე, ქსნის, არაგვისა და რეხულის ხეობაში.

„ქართლი I-ში“ შედის პურის კულტურასთან დაკავშირებული ძველი ქართული წეს-ჩვეულებების ამსახველი მასალები. იგი დალაგებულია ჯ. რუხაძის მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე. ტომში წარმოდგენილია ავტორის მიერ კლასიფიცირებული მასალა, რომელიც შეეხება პურის მომზადება-მოხმარებასთან დაკავშირებულ ქართველთა უძველეს წეს-ჩვეულებებს. მასალები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისტორიული, ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ჩვენი კულტურის ამ ძველ უბანს, ეთნოგრაფიულ ცნობებს, გვერდს ვერ აუვლის ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. მეორეც, თანამედროვეობაში, როდესაც ცხოვრების ახალი მიმართულების გავლენით, ასეთი სისწრაფით იკარგება ხალხის საუკუნოვანი ცოდნა, ჩვენი ვალია, შთამომავლობას შევუნახოთ ეთნოსის რეალური სახე, მისი სულიერი და ზნეობრივი ხასიათი.




ამგვარი ნაშრომი, ავტორისეული ხელნაწერით, პირველად ქვეყნდება. მართებულად წერს წიგნის რედაქტორი, პროფ. თამილა ცაგარეიშვილი: „წინამდებარე ტომი ხანგრძლივი და დაძაბული შრომის ნაყოფია. მისი უნიკალური მემკვიდრეობა დღეს ჩვენი ინტენსიური მუშაობის გზა და მომავალი ახალი წარმატების საწინდარია. მისი კეთილსინდისიერი ცხოვრება და უანგარო მოღვაწეობა უნდა იქცეს ნიმუშად „ვითარცა გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა“.

**სანდრო ალექსიძე.**

**სურათზე:** ჯულიეტა რუხაძე მთხრობელებთან. 1947 წ.

**მძლეოსნობა**

# „დედოფლის“ ლაურეატები



**დიდუბის მანეჟში მძლეოსანთა თბილისის ღია ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 200-მდე ათლეტი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ქალებში განსაკუთრებით ფოთელმა თეა ფაცურიამ ისახელა თავი.** მან 60 მეტრზე თარჯებით, 200 და 400 მეტრზე რბენაში პირველი ადგილები დაიკავა, ხოლო 60 მეტრზე ბრინჯაო ერგო. ამ სახეობაში „ოქრო“ სოფო მაჭავარიანს (თბილისი) ხვდა. ახალციხელმა გაიანე უსტიანმა 800 და 1500 მეტრზე რბენა მოიგო. დანარჩენ სახეობებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. **ქალები.** გიული დეკანაძე (ვანი, 3000 მ), თათია პაიკიძე (ვანი, სამმაგი სიგრძეზე ხტომა), მარიამ ოდოშაშვილი (თბილისი, სიმაღლეზე ხტომა), სალომე რიგიშვილი (თბილისი, ბირთვი).



ლაშა ღულელაური

**ვაჟები.** ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 60), დავით ილარიანი (თბილისი, 60 მ/თ), ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 200), ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 400), ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 800), გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 1500), ჯეირან ხოფერია (ფოთი, 3000), ბენიკ აბრამიანი (თბილისი, ბირთვი), ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, სამმაგი და სიგრძეზე ხტომა).

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ახმეტელი ლაშა ღულელაური, რომელიც ბაქოში საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდა. ქართველმა მძლეოსანმა სიგრძეზე ხტომასა (6,98 და სამხტომში (14,94 პირველი ადგილები დაიკავა და მეორე ადგილებზე გასულ რუს და აზერბაიჯანელ მხტომელებს 80-80 სანტიმეტრით აჯობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ღულელაურმა ბაქოში ნაჩვენები შედეგით მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობისთვის აუცილებელი ნორმატივი (14,50) შეასრულა და წლეულს 6-10 ივლისს საფრანგეთში იასპარეზებს, 24-30 ივლისს კი ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

**გივი გაგუა**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

**ფარიკაობა**

# სეზონი ახალგაზრდებმა გახსნეს

**თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, წყალტუბოსა და აჭარის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ახალგაზრდა მოფარიკავეთა საქართველოს პირველობაში, რომელსაც დედაქალაქმა უმასპინძლა.**

**ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:**

**გოგონები. ხმალი.** 1. ანა წიკლაური, 2. ქრისტინე ნოზაძე (ორივე – თბილისი), 3. ანა სინათაშვილი და მარი ფხაკაძე (ორივე – ქუთაისი). **რაპირა.** 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი (ორივე – თბილისი), 3. მერი გოქაძე და ნინო ფანცხავა (ორივე – ქუთაისი). **დაშნა.** 1. მარი ზაკირჩენკო (ქუთაისი), 2. მარი დარჩიევა (თბილისი), 3. ნინო ფცქიალაძე და ქრისტინე მიქაძე (ორივე – ქუთაისი).



**ვაჟები. ხმალი.** 1. დავით უკლება, 2. მიხეილ სულაბერიძე, 3. ოთარ შანიძე (სამივე – ქუთაისი) და ლაშა ლოლუა (თბილისი). **რაპირა.** 1. ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. იმედა ჭინჭველაშვილი (ქუთაისი), 3. თენგიზ ჯაგაშვილი (რუსთავი) და ჯემალ გოჩელაშვილი (ქუთაისი). **დაშნა.** 1. ირაკლი ამბროლაძე, 2. ირაკლი ფანცხავა, 3. თორნიკე მემანიშვილი (სამივე – ქუთაისი) და ლევან სტეფნაძე (რუსთავი).

შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა მხოლოდ მოხმალავე მიხეილ მარდალეიშვილი, რომელიც ამჟამად იტალიაში იმყოფება საქართველოს ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე და პადოვაში სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

**ლექსო ცინცაძე**

**დაჯილდოება**

# ოსკაროსნები

**არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში გაიმართა პრესტიჟული პრემიის Laaureus, სპორტულ ოსკარსაც რომ ეძახიან, გადაცემის ცერემონია.**

**წლის საუკეთესო სპორტსმენთა** შორის ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი და ამერიკელი სამთო მოთხილამურე ლინდსი ვონი.

**წლის საუკეთესო გუნდად** აღიარეს ფეხბურთში ესპანეთის ნაკრები, რომელიც 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**სპეციალური ჯილდო** თვალსაჩინო მიღწევებისა და ღვაწლისათვის სპორტის განვითარებაში მიიღო ფრანგმა ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა.

ნომინაციაში **„წლის დაბრუნება“** გაიმარჯვა იტალიელმა მოტომრბოლმა ვალენტინო როსიმ, სპორტში ფეხის მოტეხვის შემდეგ რომ დაბრუნდა.

ნომინაციაში **„წლის გარღვევა“** დააჯილდოვეს გერმანელი მეგოლფე მარტინ კაიმერი.

შეგახსენებთ, რომ პრემია Laaureus გადაეცემა 2000 წლიდან. შარშან მისი მფლობელები იყვნენ იამაიკელი მძლეოსანი უსეინ ბოლტი და ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი.



**ფიფა და უეფა**

# უკრაინას არ დასჯიან

**ალბათ, გახსოვთ, ამას წინათ ვწერდით (სრ. 27.01.11), რომ მსოფლიო ფეხბურთის შტაბმა – ფიფამ და ევროპული „ფეხბურთის კომიტეტმა“ – უეფამ მკაცრად გააფრთხილეს უკრაინა, რომ თუ მისი ხელისუფლება არ შეწყვეტს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში ჩარევას, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება ფედერაციის თავკაცის გრიგორი სურკისის განთავისუფლების მოთხოვნითაც, მაშინ მის მიმართ გატარდება მკაცრი სანქციები, თვით ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის შეჩერებითაც და მათი ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში უკრაინული გუნდების მონაწილეობის აკრძალვითაც. რაც მთავარია, უკრაინის ტერიტორიაზე აღარ გაიმართებოდა ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილი.**



როგორც ცნობილი გახდა, საფრანგეთის ქალაქ რეიმსში უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის განუცხადებია, რომ უეფაში უკრაინის წევრობა არ შეჩერდება, რადგან „სიტუაცია ნორმალური გახდა, უკრაინას აღარ ემუქრება წევრობის შეჩერება“.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი ვასილეევმა დაარწმუნა დასავლური მასმედია, რომ უკრაინის ფედერაცია პატივისცემით ეკიდება უეფას წერილს და, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი, შეასრულებს მის მოთხოვნებს.

**ინტერნეტიდან**

## წარმატებით დაბრუნდა



**ათთვიანი შესვენების შემდეგ, 2010 წელს ყატარში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ დიდ სპორტს დაუბრუნდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა. ის წარმატებით გამოვიდა მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე „რუსული ზამთარი“. ელენამ პირველივე ცდაზე გადალახა 4,61 და 4,81-მეტრიანი სიმაღლე, ხოლო 4,91 მეტრის დაპყრობა ვერ შეძლო.**

როგორც ისინბაევამ პრესას განუცხადა: „ყველაფერი ნორმალურად, გეგმაზომიერად გამოვიდა, ძალზე მომეწონა ჩემდამი მოძღვნილი სიმღერა, მანეჟში რომ გაისმოდა,რაც ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო!“

## ჯარიმა ზედმეტი წონისთვის

**ლონდონის „ვესტ ჰემის“ მთავარმა მწვრთნელმა აბრამ გრანტმა იმ 25 ფეხბურთელის სიაში, ვინც ინგლისის ჩემპიონატის მეორე ნაწილში უნდა დაიცვას გუნდის სახელი, არ შეიყვანა თავდამსხმელი ბენი მაკარტი.**



ისრაელელ სპეციალისტს ამ სეზონში დიდი იმედი არა აქვს ფორვარდისა, რადგან სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფეხბურთელს ზედმეტი წონა აქვს. მან სისწრაფე დაკარგა და ხშირად აუჩქარებლად იქცევა მარტივ სათამაშო ეპიზოდებშიც.

ინგლისის ახლანდელ ჩემპიონატში თავდამსხმელი მხოლოდ ექვსჯერ გამოჩნდა მინდორზე, თუმცა თავი დიდად არ გამოუჩენია. ცნობილი გახდა, რომ ბენი მაკარტი კლუბს გადაუხდის დაახლოებით 200 ათას გირვანქას დიეტის დარღვევისთვის.

## კიბო დაძლია

**ეს საშინელი სენი მთლიანად დაძლია „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის“ ლეგენდარულმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კარიმ აბდულ-ჯაბარმა.**

დიაგნოზი „მიელოიდური ლეიკემია“ გამოჩენილ კალათბურთელს 2008 წელს დაუსვეს. მას შემდეგ ის მკურნალობის კურსს გადიოდა, ბოლოს კი გამარჯვებული გამოვიდა ამ ძნელად განსაკურნებელ დაავადებასთან.

აბდულ-ჯაბარის მომავალი გეგმები უცნობია, თუმცა კლუბის შტაბში უნდათ მისი დაბრუნება მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, რაზეც ავადმყოფობამდე მუშაობდა.

კარიმ აბდულ-ჯაბარი აღიარებული იყო საუკეთესო მოთამაშედ კალათბურთის ისტორიაში. ის ნბა-ს ექვსგზის ჩემპიონია, 15-ჯერ შევიდა სიმბოლურ ნაკრებში, ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა ნბა-ს ისტორიაში – 38387 ქულა. ის 1995 წელს შეიყვანეს კალათბურთის დიდების დარბაზში. მას ეკუთვნის მოედანზე გატარებული დროის რეკორდი – 57446 წუთი, პლეი-ოფის მატჩების რაოდენობისა – 237 და ერთ სეზონში შედეგიანობის რეკორდებიც – 2712 ქულა.



## გული არ ატკინონ

**გლამურულ მოდელს ჯორდან კარვერს დასაკვეხნი ნამდვილად აქვს – მას ხომ გერმანიაში თითქმის ყველაზე დიდი მკერდი აქვს და კრიალაყდიანი გამოცემები მასთან რიგში დგანან. ფორმა რომ შეინარჩუნოს, ლამაზმანი სისტემატურად ვარჯიშობს, თანაც ის გერმანიაში ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „ბაიერნის“ გულშემატკივარია.**



ჯორდანი წარმოშობით იტალიელია, თუმცა ბავშვობაშივე გადაიყვანეს მიუნხენში. ალბათ, იცით, რომ იქ ვეა გუნდი „მიუნხენი – 1860“, მაგრამ ბოლო დროს ის აღარ ბრწყინავს, ამიტომაც ქალიშვილი გახდა ფრანც ბეკენბაუერის გუნდის თაყვანისმცემელი.

ჩვენი კარაბადინი

# ხსნა დიაბეტისგან

## მუმიე ასი სენის წინააღმდეგ

**თანამედროვე ფარმაკოლოგიის წარმატებების მიუხედავად, დღეს არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობს „მივიწყებული სიძველის“ რეცეპტები, ბუნებრივი საკუჭნაოები ალსავსეა განძეულობებით და მუმიეც – ერთ-ერთი მათგანია. ეს ფისისმაგვარი ბუნებრივი პროდუქტი ბიოლოგიური წარმოშობისაა: ჟონავს კლდეებისა და მთების ნაპრალებიდან, წარმოადგენს უფორმო მაგარ ან დრეკად ნაჭრებს. მას ორი ათას წელზე მეტია იყენებენ ხალხურ მედიცინაში კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი გზების, შარდკენჭოვანი, კანის დაავადებათა, ბრონქული ასთმის, ტუბერკულოზის და სხვათა სამკურნალოდ (სხვანაირად მას მთის ბალზამსაც უწოდებენძ.**

მოდის გავლენას ყველა და ყველაფერი როდი ექვემდებარება. გამონაკლისს არც ზოგიერთი ბუნებრივი ნივთიერება წარმოადგენს. გაიხსენეთ, ამ ოცდაათი წლის წინათ მუმიეს დახმარებით მკურნალობის საყოველთაო გატაცება იყო. შემდეგ კი სახალხო მედიცინაში გაჩნდა სხვა ლიდერები – ინდური სოკო, ოქროს ულვაშა და სხვები...

მაგრამ ახლა მუმიე მეორე სიცოცხლეს იძენს. საერთოდ, მუმიე – ეს ბუნების მიერ შექმნილი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა უნიკალური კომპლექსია. მას მოიპოვებენ დედამიწის გარკვეულ მთიან რაიონებში. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ბუნების ამ სასწაულის ყველა სასარგებლო კომპონენტს აქვს ადვილად ალსაქმელი ფორმა, რომლის წყალობითაც ადამიანის ორგანიზმი მას მაქსიმუმის მიხედვით ალიქვამს.

ძველი მედიკოსები თავიანთ პაციენტებს მუმიეს ურჩევდნენ ღვიძლის, კუჭის, სასუნთქი ორგანოების დაავადების დროს. მუმიე იცავდა დამბლისგან, აჩერებდა ანთებით პროცესებს, გვიცავდა მოწამვლისგან მორიელების კბენის დროს.



მუმიე შეიძლება გამოვიყენოთ დიაბეტის სამკურნალოდაც – ჩემი დედამთილი, რომელსაც მეორე ტიპის, ე.ი. ინსულინდამოკიდებული დიაბეტი აქვს, ასეც იქცევა! იგი სამკურნალო კურსის შემდეგ ყოველთვის ამოწმებს სისხლში გლუკოზის დონეს და ყოველთვის ამჩნევს გაუმჯობესებას! მუმიე საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ წყურვილი და შარდის გადაჭარბებული გამოყოფა – ესენი ხომ დიაბეტის მუდმივი თანამგზავრებია, აგრეთვე ამცირებს გადაღლილობას.

ავიღოთ 0,6 გრამი მუმიე (3 სააფთიაქო აბიძ, გავაღოთ იგი 0 ,5 ლიტრ მდუღარე წყალში და მივიღოთ 50 მილილიტრის ოდენობით სამჯერ დღეში ჭამამდე. მივიღოთ კურსებად – 20 დღის განმავლობაში 3 თვეში ერთხელ.

აფთიაქებში მუმიე იყიდება აბებში, ამიტომ მეტად ადვილია ნედლეულის საჭირო დოზის განსაზღვრა. ზოგჯერ მუმიეს ხსნარი შეიძლება დავლიოთ რძესთან ან ხილის წვენთან – ეს ზრდის სამკურნალო ეფექტს.

**ლ.თავაძე, ზესტაფონი**

### უნდა ვიცოდეთ:

**● მუმიეს მიღების დროს კატეგორიულად უნდა ავკრძალოთ ალკოჰოლი, მაგარი ჩაი, ყავა. არ შეიძლება მუმიეს მიღება იმ პრეპარატებთან ერთად, რომლებიც მოქმედებენ ტვინზე.**

**● ერთჯერადი დოზა ერთ მიღებაზე დამოკიდებულია ავადმყოფის სხეულის წონაზე: 70 კილოგრამამდე რეკომენდებულია ნორმა – არაუმეტეს 0,2 გრამისა, 80 კილოგრამზე ზევით – 0,3 გრამი.**

**● მუმიეს ხარისხის გასარკვევად საჭიროა მისი კარგად გასრესა: კარგი მუმიე ამ დროს სწრაფად რბილდება, ხოლო მუმიე, რომელსაც აქვს სხვაგვარი ნაერთები, მყარი რჩება.**

**● გასახსნელი მუმიეს მოსამზადებლად ნუ გამოიყენებთ წყალს, რომლის ტემპერატურაც 40 გრადუსზე მეტია.**

### ჩვენი რჩევები

**თუ გინდათ, რომ განიმტკიცოთ იმუნიტეტი, მიიღეთ მუმიე ალოეთი. გაითვალისწინეთ: ალოე სამ წელზე უფრო ძველი არ უნდა იყოს. არის კიდევ ერთი მომენტი: სანამ ალოეს ფოთლებს მოჭრიდეთ, მცენარეს წყალი არ უნდა დაუსხათ 5 დღის განმავლობაში.**

**აიღეთ 3,7 ლიტრი წითელი ღვინო, გააცხელეთ 37 გრადუსამდე, გახსენით მასში 1 გრამი მუმიე. შემდეგ დაუმატეთ მას ხორცსაკეპში გატარებული 400 გრამი ალოე და 0,5 ლიტრი მაისის თაფლი. გააჩერეთ ბნელ ადგილას 7 დღე. დალიეთ თითო ჩაის კოვზი დღეში სამჯერ ჭამამდე ერთი საათით ადრე ერთი თვის განმავლობაში. შემდეგ გაზარდეთ დოზა 1 სუფრის კოვზამდე დღეში სამჯერ. უნდა მიიღოთ ჭამამდე ერთი საათით ადრე 2 თვის განმავლობაში.**

## სახალხო მედიცინის აღწერა

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაიწყებს ტრადიციული მედიცინის შესწავლას. ბევრ ქვეყანაში ტრადიციულ მეცნიერებას იყენებენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფარგლებში მკურნალობისადმი თანამედროვე მიდგომასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას განზრახული აქვს, შეიმუშაოს ტრადიციული მედიცინის მეთოდების საერთაშორისო კვალიფიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქსელში. ორგანიზაციას ამ სამუშაოს დასრულება 2014 წლისთვის აქვს განსაზღვრული.**

პირველად აღწერენ აღმოსავლურ სამკურნალო მეთოდიკებს, კერძოდ ჩინეთის, იაპონიისა (კამპოძ და კორეის ტრადიციულ მედიცინას. შემდეგ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტები დაიწყებენ ინდოეთის ხალხური მედიცინის (აიურვედებიძ აღწერას. ამის შემდეგ დაიწყებენ იმ პრაქტიკების შესწავლას, რომლებიც დედამიწის სხვა ნაწილებშია გავრცელებული, მათ შორის ინდურ მედიცინასა და სხვადასხვა მცენარეებით მკურნალობას.

## ვუმკურნალოთ თუ რეკლამა გავუკეთოთ?

**ქართველ ექიმებს უკვე აღარ შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ფარმაკოლოგიური კომპანიების პროდუქციის გასაღებაში.**

**სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებს აეკრძალათ მონაწილეობა მიიღონ სამკურნალო პრეპარატების რეკლამაში, კერძოდ გამოწერონ წამლები მზა საფირმო ბლანკებზე და რეკომენდაცია გაუწიონ პაციენტებს კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციაზე.**

პირველი დარღვევისთვის ექიმს ელოდება ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, მეორისთვის – თანხა ორმაგდება.

ანალოგიურ ინიციატივაზე იყო საუბარი, სხვათა შორის, რუსეთშიც – 2009 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა წამოაყენა წინადადება, საკანონმდებლო დონეზე შეწყდეს ექიმების მიერ ფარმაცევტული კომპანიების ინტერესების ლობირების „მავნე პრაქტიკა“.

რუსეთის ფედერალურმა ანტიმონოპოლურმა სამსახურმა შეიმუშავა კანონპროექტი, თუმცა ის დღემდე არ არის მიღებული.

## სილამაზის კანფეტები

**არაჩვეულებრივი პროდუქტი – „სილამაზის კანფეტი“ – გაჩნდა ამ ცოტა ხნის წინათ ბრაზილიაში. კანფეტებში არაა ცხიმი, კონსერვანტები, შაქარი, მარილი ან სოდა, მათი კალორიულობა მინიმალურია.** სამაგიეროდ ისინი გამდიდრებულია კოლაგენითა და ვიტამინებით, რათა მიანიჭონ სილამაზე სხეულს როგორც გარედან, ისე შინაგანაც. კარამელები გვპირდებიან შევივსოთ ენერგიის მარაგი, შევაფერხოთ სიბერის პროცესი და ვუმკურნალოთ კანის დაავადებებს. უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია „სილამაზის კანფეტების“ გაყიდვა ევროპაშიც.

## სურდო და ასთმა

**ცხვირის მუდმივი გაბიდნვა შეიძლება მძიმე ბრონქული ასთმის ნიშანი იყოს, მიაჩნიათ შვედ ექიმებს.**



**შვედეთის მოსახლეობის 2 პროცენტს აქვს მძიმე ბრონქული ასთმის სიმპტომები. ეს დაავადება გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე ადრე მიაჩნდათ.**

ქრონიკული რინოსიუნიტის, ცხვირის მუდმივი გაბიდნვის ან სურდოს დროს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მძიმე სუნთქვის დროს ფიზიკური დატვირთვის გამო და ღამით გამოღვიძების დროს სუნთქვის პრობლემებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავიაროთ გამოკვლევა ასთმის გამოვლენაზე.

კანონდარღვევა

ბოლო დროს მომხდარ ავტოავარიებში მნიშვნელოვნად იმატა დაზღვეული ავტომანქანების რიცხვმა. სადაზღვევო კომპანიებს ეჭვი შეეპარათ ზოგიერთი ავტოავარიის ბუნებრიობაში, შეისწავლეს ფაქტები და აღმოაჩინეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები მათთან დაზღვეულ პირებს რამდენჯერმე მოსდით. ყველაზე ხშირი ავტოავარიების საქმეები კომპანიებმა შეისწავლეს. მათში ბევრი საეჭვო მომენტის აღმოჩენის გამო მასალები შემდგომი, უფრო სრულყოფილი გამოძიებისთვის პროკურატურას გადაუგზანეს. დაიწყო ამ პირებზე თვალთვალი, სატელეფონო მოსმენები, საახლობლო წრის შესწავლა. როდესაც პროკურატურამ რამოდენიმე ასეთი პირი დასაკითხად დაიბარა, შეშინებულებმა დაუყოვნებლივ ხელი მოაწერეს გამოძიებასთან თანამშრომლობას. სამართალდამცავებმა ჩვენებათა საფუძველზე მათ კვალს რამდენიმე კაციც გაუყენეს (პროკურატურა რატომღაც მკაცრად ასაიდუმლოებს დაკავებულთა ვინაობას, იმ მოტივით, რომ დასაკავებელი კიდევ ბევრი ეყოლებათძ. აღსანიშნავია, რომ თაღლითობაში ეჭვმიტანილთა შორის სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ რამდენიმე თანამშრომელიცაა.

# დაზღვევა და თაღლითები



უკვე დაკავებული და დასაკავებელი პირები იძენდნენ ძვირადღირებულ ავტომანქანებს, სადაზღვევო კომპანიებში სოლიდურ თანხად აზღვევდნენ და შეგნებულად ამტვრევდნენ. „ავარიები“ კი ასე ხდებოდა. მძღოლები სიჩქარის „პედალს“ (აქსელატორსძ ისე ჭედავდნენ, რომ მანქანას რაც შეიძლება სწრაფად ევლო (ამ დროს სალონში არავინ არ იჯდაძ. აჯახებდნენ სხვა, მსგავს მდგომარეობაში მყოფ ასევე დაზღვეულ მანქანას. მომხდარის შემდეგ იძახებდნენ „პატრულს“, რომლის მოსვლის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი თეატრალიზებული სანახაობა. ორი „დაზარალებული მძღოლი“ იწყებდა ერთმანეთში ჩხუბს. მეტი სარწმუნოობისთვის ერთმანეთზე მუშტებით იწევდა. პოლიციაც იჯერებდა, „დამნაშავე“ მძღოლს უწერდა ჯარიმას. გამართლებული კი იძახებდა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელს. ის ზარალს დაიანგარიშებდა და ქვითარს „დაზარალებულს“ გადასცემდა. ზოგიერთ შემთხვევაში კომპანია დამტვრეულ მანქანას თავისთან იტოვებდა. უმეტესად – არა. თანხას ხელზე იძლეოდა. ერთ-ერთი ასეთი კლიენტი სადაზღვევოს 35 ათასი დოლარი დაუჯდა. თაღლითების ამგვარმა საქმიანობამ სადაზღვევო კომპანიებს სერიოზული ზარალი მოუტანა.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, საქართველოში სადაზღვევო თაღლითობებში პირველ ადგილზე ჯანდაცვის დაზღვევაა, მეორეზე კი – ავტოდაზღვევა.

„ალდაგის“ გენერალური დირექტორის ნიკა გამყრელიძის თქმით, მათთან ხშირია თანამშრომელთა როტაცია. ახლადმოსულები ხშირად ვერ აღიქვამენ კომპანიას თავისად და აქედან გამომდინარე არსებობს არაკანონიერი გზით ფულის გაკეთების ცდუნება. გენდირექტორი ამბობს, რომ მათ კომპანიაში შექმნილია თაღლითობის მცდელობათა გამოსავლენი სპეციალური სამსახური.

მიუხედავად ამისა, ყოველივე მხოლოდ ზარალის ანაზღაურების შემდეგ გამოვლინდება. ავტოდაზღვევებთან დაკავშირებით ხშირია ავარიების ინსცენირების შემთხვევები, როდესაც რომელიმე მხარეს მანქანა ბანკში აქვს ჩადებული და გამოსასყიდად ფული სჭირდება. ამ აფერებში საგრძნობია ქალთა წილიც – ამბობს „ალდაგის“ ხელმძღვანელი.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგს“ 25 ათას დოლარად დაზღვეული მანქანის მეპატრონე კლიენტი მიადგა. იგი დამტვრეული მანქანისათვის დაზღვევის სრული თანხის ანაზღაურებას ითხოვდა. მაგრამ მაღაზიის შესასვლელში დამონტაჟებულმა ვიდეოთვალმა დააფიქსირა, თუ როგორ მოიტანეს უკვე დამტვრეული მანქანა კეკელიძის ქუჩაზე და დააგდეს. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს, უჩივლოს თაღლითს, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება.

რაც შეეხებათ ყალბი ავტოავარიების მომწყობთ, მათ 6-9 წლამდე პატიმრობა ელით. მაგრამ თუ რომელიმეს დაუმტკიცდა ამგვარ ქმედებებში რამდენიმეგზის მონაწილეობა, სასჯელთა კრებითობის კანონით ტუსაღობაში შესაძლო ყოფნის ვადა საკმაოდ გაიზრდება. თუ დაკავებულებსა და ეჭვმიტანილებს ერთობლივი, წინასწარგანზრახული დანაშაული დაუმტკიცდათ, მათი სასჯელი კიდევ უფრო გაიზრდება, როგორც ჯგუფური დანაშაულის ჩამდენებისა.

**ზაზა ბილიხოძე**

**ვილენ მარდალეიშვილი და დაგმარა წერეთელი ოჯახით იუწყებიან შესანიშნავი ქართველი კაცისა და მამულიშვილის ვლადიმერ (ვოვაძ ყაჭეიშვილის გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

სტიქია

## დაზარალებულთა დასახმარებლად პრეზიდენტმა დავალება გასცა

**პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დავალება გასცა, რომ შეიქმნას ჯგუფები, რომლებიც მაქსიმალური მობილიზებით იმუშავებენ დაზარალებულთა დასახმარებლად.**



**ძლიერი თოვისა და ქარის გამო, სტიქია საქართველოს რამდენიმე რეგიონში დაფიქსირდა.**

**მაღალმთიან აჭარაში სტიქიის შედეგად დაახლოებით 20 შენობა ძლიერ დაზიანდა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

დაიჯესტი

# „ALSAR“ — სათამაშო კამათელს ნიშნავს



ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი თამაშია ზარი, რომელსაც ძველ ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში თამაშობდნენ, რის შესახებაც უამრავი ცნობაა შემონახული. სათამაშო კამათლები აზარტის უძველესი განსახიერებაა. საგულისხმოა, რომ თავად სიტყვა „აზარტი“ არაბული „alsar“-ისგან წარმოიშვა, რაც „სათამაშო კამათელს“ ნიშნავს.

თანამედროვე კამათელს ყოველთვის როდი ჰქონდა ექვსწახნაგა, მომრგვალებული კუბის ფორმა, რომელზეც ერთიდან ექვსამდე ციფრებია დატანილი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ერი ასიმეტრიული ფორმის კოჭებს, ასევე ჩალრმავებიან ოთხწახნაგა კუბებსა და შავად და თეთრად ორმხრივ შეღებილ ფირფიტებს იყენებდა. გარდა ამისა, თამაშობდნენ კაკლებით, ხვინჭკით, მღრღნელთა კბილებით... არსებობს პირამიდული ფორმის კამათლებიც — ისინი შუმერულ ქალაქ ურში სამეფო აკლდამის გათხრების დროს აღმოაჩინეს. ზოგიერთი ძველეგვიპტური კამათელი ჩოგბურთის ბურთისხელა იყო და იმდენი წახნაგი ჰქონდა, რომ ფორმითაც მას ჰგავდა. ანტიკურ დროში კამათლების მასალად ხმარობდნენ სპილოს ძვალს, მთის ბროლს, ონიქსს, გიშერს, ფაიფურსა და ბრინჯაოს.

ზარის თამაშში ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა აზარტულ თამაშში, მოწინააღმდეგის მოტყუების უამრავი ხერხი არსებობს. ყველაზე ხშირად იყენებენ ცერად წახერხილ სიბრტყიან ანდა სიმძიმის გადაადგილებულ ცენტრიან კამათლებს, რადგან სწორი ფორმიდან ნებისმიერი გადახრით კამათელი თამაშის ხასიათს, ასევე ამა თუ იმ რიცხვების მოსვლის ალბათობას ცვლის. შულერების არსენალში ასევეა გულში მაგნიტიან ან რკინის ფირფიტიანჩადგმული კამათლები, რომელთა მართვა გარკვეულ წახნაგზე დავარდნითაა შესაძლებელი. არის კიდევ გადამყვანი კამათლები, რომელთა შიგნით გაჩარხული ღარით ვერცხლისწყლის წვეთს ასხამენ და თუ ასეთ კამათელს რამდენიმე ხანს საჭირო მდგომარეობაში დაიჭერთ (ვიდრე ვერცხლისწყალი ღარის ერთი ბოლოდან მეორეში გადავა), იგი ისევე დაეცემა, როგორც ხელში იყო დაჭერილი.

თუმცა ასეთი კამათლებით თამაში დიდ მოხერხებულობასა და გაწაფულობას საჭიროებს, მაგრამ არიან იმდენად ვირტუოზი შულერები, რომლებიც ჩვეულებრივი კამათლებითაც ახერხებენ სასურველი კომბინაციების „მოყვანას“. საამისოდ ისინი კამათლებს ისე აგორებენ, რომ ისინი ჰორიზონტული ღერძის გარშემო ტრიალებდნენ და არა თავისუფლად.

ყველა დროში სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება არა მარტო შულერებს, არამედ თავად ზარის თამაშსაც უცხადებდა ომს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში ძველ რომში ჩვენთვის ცნობილი პირველი კანონი შემოიღეს აზარტული თამაშების წინააღმდეგ, რომელიც, კერძოდ, ზარს ეხებოდა.

„ეშმაკის თამაშს“ შეურიგებლად ებრძოდა ქრისტიანული ეკლესია: სახარების თანახმად, ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, რომაელმა ჯარისკაცებმა მისი სამოსის განაწილება დაიწყეს, რა მიზნითაც კენჭს ყრიდნენ — ვარაუდობენ, რომ ამას კამათლებით აკეთებდნენ.

ძველად გავრცელებული იყო თამაშები „წყვილი და კენტი“, კამათლების სროლა წრეში, საგანგებო ნახვრეტებში. მოთამაშეები კამათლებს როგორც ცოცხალ არსებებს ისე ეპყრობოდნენ — დიდი პატივისცემით. მათ ესაუბრებოდნენ, ეჩურჩულებოდნენ, ულოცავდნენ და სხვადასხვა პირობების მიცემით მოწყალების დამსახურებას ცდილობდნენ...

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

## არ გაბედოთ და არ დაგვანახოთ ქალის მკერდი!

**საავადმყოფოში** ოთხი სხვადასხვა სახეობის სხეულის დაზიანებით ავადმყოფების ერთდროულად მიყვანა არავის გაუკვირდებოდა, ყველაფერი მომხდარი ერთ შემთხვევასთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული.

შელი მიულერი „სასწრაფო დახმარებამ“ თავის ტრავმით, ტიმ ვეგასი — მსუბუქი კონტუზიით, პამელ კლესიკი — ხელის ორი თითის დაკარგვით, ხოლო ბრაიან კორკორანი — ღრძილების სერიოზული დაზიანების გამო მიიყვანეს. ყველაფერი კი იდეალურად დაიწყო: შელი მიულერმა მეუღლე სამსახურში რომ მიიყვანა მანქანით, დამშვიდობებისას აკოცა, თან მაისური აიწია



და მკერდი აჩვენა. ტიმ ვეგასი ლამაზი შიშველი მკერდის ხილვამ ისე გაიტაცა, რომ ავტომანქანით... სტომატოლოგიურ კაბინეტში შევარდა, სადაც კბილის ექიმი პამელა კლესიკს სავარძელში პაციენტი ბრაიან კორკორანი ეჯდა. ძლიერი შეჯახების შედეგად, ექიმმა პაციენტს ღრძილები სამედიცინო იარაღით მძიმედ დაუზიანა, ტკივილისგან შოკში ჩავარდნილმა ავადმყოფმა კი მას ორი თითი მოაჭამა. ნახევრად გაშიშვლებულ შელი მიულერს კი თავში შენობიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა...

აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საჯაროდ მკერდის გაშიშვლება, თანაც ლამაზი ქალებისთვის, წესით და რიგით, კანონით უნდა აიკრძალოს!

## ნაკურთხი... სტრიპტიზ-კლუბი

**ჩელიაბინსკის** ოლქში მომხდარ უპრეცედენტო შემთხვევას გრანდიოზული სკანდალი მოჰყვა, რაც იმან გამოიწვია, რომ ადგილობრივმა ღვთის მსახურმა სტრიპტიზ-კლუბი „სტუდია 74“... ქრისტიანული წესით აკურთხა! საქმე იმდენად გახმაურდა და მრევლში ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომ მამა ნიკოლაი, შესაძლოა, სულაც ეკლესიიდან მოკვეთონ. სასულიერო პირი თავს იმით იმართლებს, რომ არ იცოდა, შენობაში სტრიპტიზ-კლუბი თუ მოქმედებდა და აცხადებს, რომ იგი განზრახ მოატყუეს. რამდენად გულწრფელია მამა ნიკოლაი, უცნობია, თუმცა თავად კლუბის მეპატრონეები სკანდალით დიდად კმაყოფილები არიან, ვინაიდან მას შემდეგ სტრიპტიზ-კლუბის კლიენტურამ მნიშვნელოვნად იმატა.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 — +4 |
| ქუთაისი. | +3 — +4 |
| ბათუმი. | +2 — +5 |
| ზუგდიდი. | -1 — +4 |
| თელავი. | 0 — +6 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

შესანიშნავი გოგო გავიცანი. მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ბედნიერების წინააღმდეგნი არიან. მათ სურთ, რომ მე მასზე დავქორწინდე.

* * *

ჩვენი უფროსი მაგარი მატყუარაა, მაგრამ სამართლიანია: აბსოლუტურად ყველას ატყუებს.

* * *

— მიხო, — ეუბნება მასწავლებელი, — მე თუ მამაშენისაგან სამას ლარს ვისესხებ და ამისთვის მას წელიწადში ცხრა ლარს გადავუხდი,



რამდენი პროცენტი გამოვა?

— ოცი.

— არასწორია, მხოლოდ სამი პროცენტი იქნება! ანგარიში არ იცი.

— მე კი ვიცი ანგარიში, უბრალოდ, თქვენ არ იცნობთ მამაჩემს.

* * *

— მოშე, რა გამოვა, თუ ასს ორმოცდათერთმეტს გამოაკლებ?

— ჰმ... მაშინ საკონტროლო პაკეტი მექნება...

* * *

— დაბადების დღეს გილოცავ!

— დიდი მადლობა. არც ერთი ნაძირალა, თქვენს გარდა, არ მიმხვდარა, რომ მოელოცა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.